# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 15 აგვისტო 2007 №187 (3110) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვინ თამაშობს დინამოს სახელით?!

### დღეს რაპიდი თბილისში ჩამოდის




## ჩვენი ოქროს სინჯი

### გრიგოლ შინჯიკაშვილმა ტაილანდში ყველა წააქცია



ტაილანდში მიმდინარე მსოფლიოს უნივერსიადაზე საქართველოს გუშინ ოქროს დღე ჰქონდა. ბანგკოკში ათობით მედლების კომპლექტი გათამაშდა, ათამდე სახეობაში, მაგრამ ქართველები მხოლოდ ძიუდოში გამოვიდნენ — ტატამი ორ წონას დაეთმო და ერთში ჩვენებურმა იჩემპიონა. ოქროს მედალი 81-კილოგრამიანმა გრიგოლ შინჯიკაშვილმა მოიპოვა. მან გზად ხუთი მეტოქე ჩამოიცილა, მათ შორის, ძლიერი იაპონელი ჰიროტაკა კატოც, რომელსაც ორიოდ წუთში მოუმთავრა საქმე. ფინალში შინჯიკაშვილმა კორეელ კიმ მინს აჯობა.



**საქართველოში ფორმას ვეძებ**

გიორგი ჭელიძე გაურკვევლობას გამოექცა

2



**სეთურიძისთვის კარგის მეტი არაფერი გამიკეთებია**

ინტერვიუ რევაზ ძოძუაშვილთან

3




**წუხელ:**

„ჩელსიმ“ დანი ალვეში 32 მილიონ ევროდ შეიძინა

# საქართველოში ფორმას ვეძებ

## გიორგი ჭელიძე გაურკვევლობას გამოექცა



**საქართველოს ახალგაზრუდილ ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის" თავდამსხმელი გიორგი ჭელიძე რომ „ზესტაფონში" ვარჯიშობს, „სარბიელი" ადრეც წერდა. თითქოს უცნაური უნდა იყოს „ლოკომოტივიდან" „ზესტაფონში" გადასვლა, მაგრამ ამის თაობაზე ფეხბურთელს საკუთარი აზრი აქვს...**

— ახალი სეზონისთვის, ფაქტობრივად, არ მოვემზადებულვარ და ახლა „ზესტაფონში" ვვარჯიშობ. ფორმის აღდგენა მინდა, რათა სანაკრებო თამაშებს უთამაშებელ-უვარჯიშებელი არ შევხვდე.

— „ზესტაფონის" პრეზიდენტმა ილია კოკაიამ გვითხრა, „ლოკომოტივთან" შეთანხმება მიღწეულია და გიორგი ჭელიძე ჩვენთან ითამაშებსო...

— ჯერ „ზესტაფონთან" ოფიციალურად არაფერი გამიფორმებია. საიჯარო კონტრაქტზე მაქვს ხელი მოსაწერი.

— შენი სურვილიც იყო, „ზესტაფონში" გეთამაშა?

— „ლოკომოტივში" დიდი კონკურენციაა, თანაც თითქმის მოუმზადებელი ვიყავი — გუნდს სავიზო პრობლემის გამო ვერ შევუერთდი. ვიცოდი, რომ დუბლებში მომიწევდა თამაში და როდის მომიხდებოდა ძირითად გუნდში გადასვლა, გადაწყვეტილი არც იყო. უკრაინული ვარიანტიც ჩაიშალა და ისევ აქ, საქართველოში ვამჯობინე ვარჯიში და ალბათ ვითამაშებ კიდეც.

— უკრაინაში ისევ ლუგანსკის „ზარიას" სურდა შენი დატოვება?

— კი. დამირეკეს კიდეც, რას აპირებო. მე დავთანხმდი, თუმცა „ლოკომოტივიდან" გვიან გაუგზავნეს პასუხი. მერე ეს სავიზო პრობლემები... სამი დღის წინ მომცეს სამთვიანი ვიზა, მაგრამ, მგონი, უკვე აზრი აღარ აქვს.

— ნაკრები ახსენე და მასზეც ვთქვათ: პოლონეთის ახალგაზრდულ ნაკრებთან სათამაშოდ გამოძახებული ხარ?

— ოფიციალური მოწვევა ჯერ არ მოსულა, რადგან კლუბის ამბავია გასარკვევი — ხომ უნდა იცოდნენ, ვის უნდა გაუგზავნონ მოწვევა. ისე კი, ჩემი პასპორტი უკვე წაიღეს.

— ესპანეთთან გულდასაწყვეტი მატჩი წააგეთ...

— მართალია. ძალიან საწყენი იყო. კარგად ვითამაშეთ და წაგებას ნამდვილად არ ვიმსახურებდით. იღბალიც არ გვქონდა — ბოლო წუთზე ურეალურესი მომენტი ვერ გამოვიყენეთ.

— და მაინც: პოლონეთთან მატჩზე რას ფიქრობ?

— უკან დასახევი გზა არ გვაქვს. ყველაფერი უნდა გავიღოთ მოსაგებად. წინ კიდევ რთული შეხვედრებია და თუ ჯგუფიდან გასვლა გვინდა, ყველა მატჩში სული და გული უნდა ჩავდოთ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# რაპიდი დღეს მოდის

## ქალებმა დინამო გააბრაზეს. რას იტყვიან უეფა და ფედერაცია?

**ხვალ** თბილისის „დინამოს" უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი შეხვედრა ელის ავსტრიულ „რაპიდთან" და დინამოელებიც ამ მატჩისთვის გამალებით ემზადებიან — ყველა ფეხბურთელი ჯანზეა და ავსტრიელებთან დიდი ბრძოლის გამართვასაც აპირებენ. სხვათა შორის, კარგახნიანი ტრავმის შემდეგ გუშინ პირველად გუნდთან ერთად ივარჯიშა მეკარე სოსო გრიშიკაშვილმა.

შეგახსენებთ: გრიშიკაშვილმა გერმანულ შეკრებაზე მოიტეხა ხელის თითი და მას შემდეგ მკურნალობდა, გუშინ კი, როგორც გითხარით, ხელთათმანებიც მოირგო. რა თქმა უნდა, ჯერ იგი „დინამოს" ვერ დაეხმარება.

ხვალ დინამოელები „მიხეილ მესხზე", 16.30 საათზე მატჩისწინა პრესკონფერენციას გამართავენ, 18 საათზე კი ვარჯიშიც ექნებათ.

ავსტრიული „რაპიდი" კი დღეს ჩარტერული რეისით მოფრინავს და 14.15 საათზე თბილისში იქნება. გუნდი „შერატონ მეტეხი პალასში" დაბინავდება, 17 საათზე ივარჯიშებს „მიხეილ მესხზე" და, სავარაუდოდ, წვრთნა დახურული არ იქნება.

„რაპიდს" მოჰყვება 12 ჟურნალისტი და 120 გულშემატკივარი. ისინი „თბილისი მერიოტში" დაბინავდებიან.

შეხვედრაზე დასასწრები ბილეთები მატჩის დღეს, 12 საათიდან მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის სალაროებში გაიყიდება და, იმედია, ქომაგი სტადიონზე მრავლად მივა, მით უმეტეს, „დინამო" უკვე ერთადერთი ქართული გუნდია, რომელიც ევროთასს შემოგვრჩა და ხვალინდელ მატჩში გულშემატკივრების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია.

მატჩის პირდაპირ ტრანსლაციას გადასცემს ერთ-ერთი ავსტრიული ტელეკომპანია, საქართველოში კი — „იმედი". როგორც შევიტყვეთ, „იმედი" საპასუხო მატჩის რეპორტაჟსაც გეგმავს.

და ბოლოს „დინამოს" პრესსამსახურის უფროსმა გაგა გვენცაძემ ერთ არასასიამოვნო ფაქტზეც გაამახვილა ყურადღება: „გუშინ გამოქვეყნდა ინფორმაცია თბილისის „დინამოს" ქალთა ფეხბურთელთა გუნდის შესახებ, რომელიც უეფას თასზე თამაშობს. ცოტა ხნის წინ ჩვენ უეფადან მივიღეთ შეტყობინება, რამდენიმე ფეხბურთელს დისკვალიფიკაცია აქვს და არ ათამაშოთო. ჩვენს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, ამ გუნდს ჩვენთან არანაირი კავშირი არ აქვს და უეფას ამის შესახებ უმალ შევატყობინეთ. შემდეგ, რა თქმა უნდა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასაც ვამცნეთ. საკვირველია, როგორ მოახერხა ქალთა გუნდმა იდენტური სახელწოდებით დარეგისტრირება ან საერთოდ არის კი დარეგისტრირებული?"

**ნუკრი ლოლაძე**

# სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

ოთხშაბათს, 15 აგვისტოს, 16.30 საათზე მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ს.კ. „დინამო თბილისი" გამართავს „დინამო" — „რაპიდის" მატჩისწინა პრესკონფერენციას.

უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო რაუნდის „დინამო" — „რაპიდის" მატჩზე აკრედიტაციის მიღების მსურველებმა, გთხოვთ, წერილობით მოგვმართოთ პრესკონფერენციის დასრულების შემდეგ.

მატჩზე დასწრების დროს აკრედიტაციასთან ერთად, გთხოვთ, იქონიოთ პირადობის ან პრესის თანამშრომლის საბუთი.

*ს.კ. „დინამო თბილისის" პრესცენტრი*

## ჩემპიონთა ლიგა 2007-2008

### მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. I მატჩები

**ლაციო (იტალია) 1:1 დინამო (ბუქარესტი, რუმინეთი)**

0:1 დანჩილესკუ (22), 1:1 მუტარელი (53)

*როკიმ (ლაციო) ვერ გაიტანა პენალტი (90)*

*გაძევება: ბეჰრამი (72, ლაციო), მუტარელი (86, ლაციო), გოიანი (90, დინამო)*

**რეინჯერსი (შოტლანდია) 1:0 ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)**

1:0 ნოვო (90)

**ბენფიკა (პორტუგალია) 2:1 კოპენჰაგენი (დანია)**

1:0 რუი კოშტა (25), 1:1 ჰატჩინსონი (35), 2:1 რუი კოშტა (86)

**ვალენსია (ესპანეთი) 3:0 ელფსბორგი (შვედეთი)**

1:0 ვისენტე (7), 2:0 დავიდ სილვა (58), 3:0 მორიენტესი (70)



„ლაციო" — „დინამოს" მატჩში დიდი ამბები იყო

AFP

### ამხანაგური მატჩები

ვილიარეალი 3:0 ოსასუნა
ნუმანსია 1:3 ბილბაო
კადისი 2:2 სარაგოსა

### ინგლისი

**პრემიერლიგა. II ტური**

ტოტენჰემი 1:3 ევერტონი

**კონფერენსლიგა. II ტური**

ბარტონი 4:3 იორკი
ექსეტერი 2:0 ძროული
ფორესტ გრინი 3:2 ვეიმუთი
ჰალიფაქსი 2:2 ალტრინჩემი
ნორსვიჩი 3:3 დროისდენი
რაშდენი 1:0 ფორსლი
სალისბერი 2:1 გრეივსენდი
სტეფორდი 1:3 კიდერმინსტერი
სტივენეიჯი 2:1 ჰისტონი

**ლიგის თასი. I ეტაპი**

სკანთორპი 1:2 ჰარტლპული
აკრინგტონი 0:1 ლესტერი
ბარნსლი 2:1 დარლინგტონი
ბლეკპული 1:0 ჰადერსფილდი
ბრენტფორდი 0:3 ბრისტოლი
როვერსი 1:1დ.დ. (პ4:1, 1:1) კრ. პალასი
ბერი 0:1 კარლაილი
კარდიფი 1:0დ.დ. (0:0) ბრაიტონი
ჩესტერი 0:0 (პ2:4) ნოტინგემი
ძოვენთრი 3:0 ნოტსი
დაგენემი 1:2 ლუტონი
დონკასტერი 4:1 ლინკოლნი
გრიმსბი 1:1დ.დ. (პ2:4, 0:0) ბარნლი
ჰერეფორდი 4:1 იოვილი
მაკლსფილდი 0:1 ლიდსი
მილტონი 3:3დ.დ. (პ5:3, 2:2) იფსვიჩი
ნორთჰემპტონი 2:0 მილუოლი
ნორვიჩი 5:2 ბარნეტი
ოლდემი 4:1 მენსფილდი
პლიმუთი 2:1 უიკომბი
პორტ ვეილი 1:1დ.დ. (პ3:5, 1:1) რეძსემი
პრესტონი 1:2 მორიკომბი
ძუინზ პარკი 1:2 ლეიტონი
როჩდეილი 2:2დ.დ. (პ4:2, 1:1) სტოკი
შეფილდი 3:1 ჩესტერფილდი
შრიუსბერი 1:0დ.დ. (0:0) კოლჩესტერი
საუთენდი 4:1დ.დ. (1:1) ჩელტენემი
სტოკპორტი 1:0 ტრანმერი
სუონსი 2:0 უოლსოლი
სუინდონი 0:2 ჩარლტონი
უოტფორდი 3:0 ჯილინგემი
ვესტ ბრომვიჩი 1:0 ბორნმუთი

### იტალია

**თასი. I ეტაპი**

პიაჩენცა 2:0 სპეცია
ბოლონია 2:1 მოდენა
მესინა 2:2 (პ3:4) ვიჩენცა

### გერმანია

**ჩრდილოეთ რეგიონალლიგა გადადებული მატჩი**

ჰამბურგი (მ) 0:0 მაგდებურგი

**სამხრეთ რეგიონალლიგა გადადებული მატჩი**

ბურგჰაუზენი 1:0 სანდჰაუზენი

### საფრანგეთი

**ლიგის თასი I ეტაპი**

ბულონი 0:0 (პ4:3) ანჟერი
კრეტეი 0:3 კლერმონი
ისტრი 0:4 ლავალი
ლიბურნი 1:2 სეტე
ტურსი 1:2 ნიორი

### შოტლანდია

**თასი. I ეტაპი**

დანდი იუნ. 1:2 როსი
ისტ სტირლინგი 4:2 დამბარტონი
ფორფარი 3:2დ.დ. (2:2) ისტ ფაიფი
მორტონი 1:0 ლივინგსტონი
პიტერჰედი 1:0 კოუდენბითი
ალბიონი 1:1დ.დ. (პ3:4, 1:1) ბერვიკი
კლაიდი 1:0 ძუინი
ჰამილტონი 1:2 ეირი
მონტროუზი 5:1 სტირლინგი
ძუინზ პარკი 1:0 სტრანრარი
რეითი 1:1დ.დ. (პ4:5, 1:1) სტ. ჯონსტონი
სტენჰაუზმური 1:3 ერდრი
ელგინი 1:4 ბრეჩინი

### ავსტრია

**I დივიზიონი IV ტური**

აუსტრია (ლ) 2:1 აუზე
გრატკორნი 3:0 შვანენშტადტი
კერნტენი 0:3 კაპფენბერგი
ლეობენი 0:2 აუსტრია (მ)
პარნდორფი 1:1 ლუშტენაუ

### პოლონეთი

**I ლიგა III ტური**

ვისლა 2:0 გურნიკი





რევაზ ძოძუაშვილი: ზურაბ ჯაფარიძე ჩემ დროს სათადარიგოთა სკამზე დაჯდომას ვერ ბედავდა

# სეთურიძისთვის კარგის მეტი არაფერი გამიკეთებია

## რევაზ ძოძუაშვილი: იმიტომ მერჩიან, რომ ჩემს საქმეში ცხვირს არავის ვაყოფინებდი

რამდენიმე დღის წინ რუსთავის „ოლიმპის“ ყოფილი ხელმძღვანელის ზურაბ ჯაფარიძის ინტერვიუ შემოგთავაზეთ, რომელშიც მან „ოლიმპის“ ყოფილ მთავარ მწვრთნელ რევაზ ძოძუაშვილზე ბევრი სკანდალური რამ თქვა, მათ შორის, ისიც, რომ თურმე ძოძუაშვილი გიორგი სეთურიძეს თბილისის „დინამოსთან“ მატჩის წინა დღეს დაემუქრა, თუ ჩემთან პირად კონტრაქტს არ მოაწერ ხელს, მოედანს არ გალირსებო. როგორც ჯაფარიძემ გვითხრა, ეს ამბავი სეთურიძის მამისგან შეიტყო.

ბუნებრივია, ასეთი ბრალდებების შემდეგ რევაზ ძოძუაშვილსაც შევეხმიანეთ და მისი აზრითაც დავინტერესდით...

— ეგ აბსურდული ბრალდებაა. ძალიან გთხოვთ, თვითონ გიორგი სეთურიძეს, მის მშობლებსაც და ამ ფეხბურთელის აგენტ მამუკა ჯულელსაც შეეხმიანოთ და ყველაფერს გაიგებთ. სეთურიძემ მთელი სეზონი ძირითადში ითამაშა — თუ გნებავთ, საკუთარ საქაღალდესაც გაჩვენებთ, სადაც ყველაფერი ჩანიშნული მაქვს და იქვეა თითოეული ფეხბურთელის შეფასებებიც. მისი აგენტი მამუკა ჯულელი ჩემს ხელშია გაზრდილი. ისაა სეთურიძის აგენტი და თუ მართლა მოხდა ასეთი რამ, მან აუცილებლად უნდა თქვას. ფეხბურთი ფსიქოლოგიცაა და ამიტომ ხანდახან საჭიროა, მოთამაშის გამოფხიზლება. სეთურიძემ რვა შეხვედრა კარგად ჩაატარა, შემდეგ შევამჩნიე, რომ მოუკლო, ამიტომ ხერხს ვუხმე და ვამბობდი, შეიძლება, სასტარტო შემადგენლობიდან ამოვარდეს-მეთქი. ამას ჩემს თანაშემწეებთან ერთად ვაკეთებდი — ვარლამ კილასონიამაც ყველაფერი კარგად იცის ამის შესახებ და თუ გნებავთ, მასაც ჰკითხეთ. ფეხბურთელმა კონკურენცია თუ არ იგრძნო, ვერ მოუმატებს და დაილუპება. მგონი, სეთურიძისთვის კარგის მეტი არაფერი გამიკეთებია — ახლა იგი „კარლ ცაისის“ ფეხბურთელია.

— როგორ ფიქრობთ, რატომ აქვს თქვენს მიმართ ზურაბ ჯაფარიძეს ამდენი პრეტენზია?

— მას მწვრთნელების საქმეში ცხვირის ჩაყოფა უყვარს, ეს ცნობილი ფაქტია. ჩვენს საქმეში კი იგი ვერ ჩაერია და ამის გამო გადაირია. ნახეთ ყაზახურ „ასტანასთან“ ჩემპიონთა ლიგის მატჩზე როგორ იყო მწვრთნელების სკამზე წამოსკუპებული? ამას ჩემთან ვერ ბედავდა.

— წინა სეზონის შუაში კლუბის ხელმძღვანელებთან ჩხუბიც მოგივიდათ...

— „ზესტაფონთან“ ფრედ რომ ვითამაშეთ, თუ ნახეთ ის მატჩი, გეცოდინებათ, რომ უპირატესობას ჩვენ ვფლობდით. გაგვიტანეს, მაგრამ მაინც მოვახერხეთ გათანაბრება. „ზესტაფონი“ რა, ხელწამოსაკრავი გუნდია?! მერე „ბორჯომს“ მოვუგეთ, ჯაფარიძე კი ტრიბუნაზე იჯდა და ამბობდა, ეს არის ძოძუაშვილის მწვრთნელობაო? მე მას დავურეკე და დაუყოვნებლივ შეხვედრა მოვთხოვე, მაგრამ არ ისურვა, დაიმალა. რამდენიმე დღეში „ვიტ ჯორჯიასთან“ გვქონდა ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი. ჩემთან ბადრი ქარქაშაძე მოვიდა და მითხრა, ფეხბურთელებმა რაღაც თამაშს მოუკლეს და სამედიცინო შემოწმება გავატაროთო. მე ვუპასუხე, კი ბატონო, მაგრამ „ვიტ ჯორჯიასთან“ მატჩის შემდეგ-მეთქი. თითქოს ამაზე შევთანხმდით... მატჩამდე სულ ორი დღეღა რჩებოდა, თამაშისწინა ვარჯიშს ვატარებდი, რომ მოედანზე ბადრი ქარქაშაძე და მამუკა გუგეშაშვილი შემოვიდნენ. მათ ფიზმომზადების მწვრთნელ ევგენი გორგაძეს და ფეხბურთელებს უთხრეს, დაუყოვნებლივ შეწყვიტეთ ვარჯიში, სამედიცინო შემოწმებაზე უნდა წავიდეთო. როგორია, როცა ხელმძღვანელები ასე ერევიან სამუშაო პროცესში. ამას მოჰყვა ის უსიამოვნება, ვარჯიში ჩაიშალა და ფაქტობრივად მოუმზადებელი გუნდით „ვიტ ჯორჯიასთან“ ქულა მაინც ავიღეთ. ყველანაირად ცდილობდნენ, ფეხი დამცდენოდა. მეორე დღეს მათ კიდევ ერთხელ შევხვდი და ვუთხარი, რომ დარჩენილ შვიდ ტურში ახლოს არ გამკარებოდნენ — გუნდს ჩემპიონობას მოვაგებინებ და შემდეგ მე თვითონ წავალ-მეთქი. ასეთ სიტუაციაში როგორ უნდა გაჭერებულიყავი?!

— ასეც მოხდა...

— ჩემპიონები გავხდით და წამოვედი. კლუბის ხელმძღვანელები ამბობდნენ, რომ მათ დიდი ფინანსური შესაძლებლობა არ ჰქონდათ. სულ ამაზე იყო საუბარი, ამიტომაც ვვარჯიშობდით „ოლიმპის“ აკადემიის ხელოვნურსაფარიან მოედანზე. არ გაგვივლია შეკრება... მათი მტკიცებით, გუნდში 14 ფეხბურთელზე მეტი არ იყო საჭირო. მხოლოდ მათი შენახვის ფული იყო გამოყოფილი. მერე რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი მოვიყვანე, რომლებიც ხელფასსა და სმა-ჭამას არ ითხოვდნენ და ახლა ამბობენ, სელექცია არ უვარგოდაო. სასაცილოა. რა უნდა ვთქვა?! უბრალოდ, შავ პიარს მიგორებენ და ეგ არის.

— ადრე იმასაც ამბობდნენ, ძოძუაშვილი ფეხბურთელებს ცოლის მოყვანას უშლისო. ახლაც ასეა?

— ფეხბურთელს, რომელსაც ცოტა ხელფასი აქვს და ეს ფული ოჯახის შესანახად არ ეყოფა, ბოლომდე ვერ დაიხარჯება. არ გახსოვთ, ადრე როგორი სიდუხჭირე იყო?! მეც ფეხბურთელებს ვეუბნებოდი, ჯერ წელში გაიმართეთ, ფული იშოვეთ და შემდეგ დაოჯახდით-მეთქი. რა სისულელეა, შეძლებულ ფეხბურთელს ამას როგორ დავუშლი. უბრალოდ, გაგანია სეზონის დროს ნუ მოიყვანს. შეებულება რომ ექნება, მაშინ შეირთოს.

**ნუკრი ლოლაძე**

# სად არსენალი და სად მილანი

## კალაძემ დემეტრაძის დუბლი და მარცვალაძის ნული ნახა



გიორგი დემეტრაძე და კახა კალაძე

**მოსკოვში** გამართული „რკინიგზის თასის“ შემდეგ კახა კალაძე კიევშიც ჩავიდა. მას ხანმოკლე შვებულება ჰქონდა და რა გასაკვირია, უკრაინის დედაქალაქს რომ ესტუმრა — ქართველ ფეხბურთელს ხომ კიევთან თბილი მოგონებების გარდა საქმიანი კავშირებიც აქვს.

კიევში ყოფნისას კალაძე „არსენალი“ — „ზაკარპატიეს“ (7:0) მატჩსაც დაესწრო და გიორგი დემეტრაძე-ოთარ მარცვალაძის დაპირისპირება ნახა.

„კალაძე რამდენიმე დღით კიევში ჩამოვიდა და, რა თქმა უნდა, ნაკრების კაპიტანს აინტერესებდა თანაგუნდელების, ჩემი და მარცვალაძის საქმეში ნახვა — განუცხადა გიორგი დემეტრაძემ უკრაინელ ჟურნალისტებს — მატჩის შემდეგ ვისაუბრეთ. კახას „არსენალის“ თამაში ძალიან მოეწონა. მე ვუთხარი, ნახე, რამდენი ბურთი უნდა გაიტანო ერთ მატჩში-მეთქი, მან კი მიპასუხა, ეს „მილანი“ მაინც არ არისო...

...ჩვენ ვმეგობრობთ და შაბათს, პოლტავის „ვორსკლასთან“ მატჩის შემდეგ მე ჩავალ მასთან მილანში, საიდანაც ერთად შევუერთდებით საქართველოს ნაკრებს, რომელსაც 22 აგვისტოს ლუქსემბურგთან ამხანაგური მატჩი აქვს“.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტორტია თუ მაისურა?
## კარპატიმ გიორგი ლომაიას დაბადების დღე გადაუხადა



**საქართველოს ეროვნული ნაკრების მეკარე გიორგი ლომაია პირველი ქართველი ფეხბურთელია, ვინც ლვოვის „კარპატში" ითამაშებს. თუმც ჩვენებურს ლვოვის სტადიონზე თამაში 2004 წელსაც შეეძლო, როდესაც საქართველოს ნაკრებმა უკრაინასთან 0:2 წააგო, მაშინ ლომაია სათადარიგო იყო.**

**ლომაიას დებიუტი კარპატულ გუნდში ჯერ არ შემდგარა, მაგრამ ის უკვე საჩემპიონატო განაცხადშია და სათამაშო ნომერიც მისცეს — 28, რომელიც თავად ფეხბურთელს აურჩევია. ლომაია „კარპატში" გადასვლის დღეს 28 წლის გახდა და ხელმძღვანელობისთვის უთხოვია, ეს ნომერი თავისუფალი თუ გაქვთ, მომეცითო...**

საერთოდ კი, საქართველოს ნაკრების მეკარემ უკვე მიიქცია უკრაინელი ჟურნალისტების ყურადღება...

— „კარპატში" გადმოსვლაზე ჩემმა მენეჯერებმა, ახრიკ ცვეიბამ და მამუკა ჯულელმა იმუშავეს. მათ შემომთავაზეს ლვოვში გადმოსვლა და მეც დავთანხმდი. ისე, უკრაინაში თამაში ადრეც შემეძლო, როდესაც კიევის „დინამოში" ვიყავი გასინჯვაზე, მაგრამ რატომღაც იგორ სურკისმა ბოლო მომენტში გადაიფიქრა და მეც რუსეთს მივაშურე".

რუსეთში ლომაიამ სამ გუნდში — მოსკოვის „სპარტაკში", ვლადივოსტოკის „ლუჩ-ენერგიაში" და „ხიმკიში" ითამაშა, მერე კი გერმანიის მეორებუნდესლიგურ იენის „კარლ ცაისში" გადავიდა.

— „კარლ ცაისში" დარჩენის საწინააღმდეგო არაფერი მქონდა, მაგრამ ჯერ ერთი, იჯარის ვადა ამომეწურა და მეორეც, პირობებზეც ველარ შევთანხმდით, ამიტომ ვარჩიე, წამოვსულიყავი. ცოტა ხნით საქართველოში დავბრუნდი და ფორმას „ვიტ ჯორჯიაში" ვარჯიშით ვინარჩუნებდი."

საქართველოში თამაში კი ლომაიას ერთი მარტივი მიზეზის გამო არ სურდა:

„სამწუხაროდ, საქართველოში ჩემპიონატის დონე დაბალია. თითქმის ყველა კლუბი ფინანსურ პრობლემებს განიცდის, თუმც იმედი მაქვს, რომ ეს ყველაფერი მალე გამოსწორდება და ყველაფერი კარგად იქნება."

და ერთიც: ლომაიას არც საქართველოს ეროვნული ნაკრები დავიწყებია...

„ნაკრები ჩემთვის უპირველესია, ისევე, როგორც ყველა ქართველისთვის. ერთია, რომ სათამაშო დისციპლინა გვაკლდა. ამიტომაც მოვიყვანეთ ავტორიტეტული მწვრთნელი და დიდი იმედი გვაქვს, რომ შედეგიც მალე იქნება."

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# ჩერნომორეცის მინუსი ახალაიას პლუსია

**როგორც** ჩანს, ოდესის „ჩერნომორეცი" ქართველების გარეშე ვერ ძლებს — ვიტალი შევჩენკოს გუნდში 25 წლის შემტევი ნახევარმცველი, ექსდინამოელი ვლადიმერ ახალაია ისინჯება.

ახალაიას კარგად იცნობს შევჩენკოს ერთ-ერთი თანაშემწე ანდრეი ტელესნენკო — თავის დროზე ქართველი ფეხბურთელი მის ხელში თამაშობდა, როდესაც ტელესნენკო მოლდოვურ კიშინიოვის „ზიმბრუს" წვრთნიდა.

შევჩენკოს განცხადებით, „ჩერნომორეცს" თავდასხმაში პრობლემები აქვს და მის გაძლიერებას აპირებს, ეს კი ახალაიას „მეზღვაურთა" შემადგენლობაში მოხვედრის შანსს ზრდის.

შეგახსენებათ, ახალაია ბოლოს მოლდოვურ „დაჩიაში" თამაშობდა, სადაც იჯარით მოხვდა თბილისის „დინამოდან".

უცხოეთში „დაჩიას" გარდა, ახალაიას ზემოთ ნახსენებ „ზიმბრუსა" და შვეიცარიულ „ციურიხშიც" უთამაშია.

„ჩერნომორეცში" ახალაიას ერთი ქართველი, კახა მჟავანაძე დახვდა. კიდევ ორი ჩვენებური — ილია კანდელაკი და გიორგი შაშიაშვილი — კი გუნდს დაშორდა. პირველი იენის „კარლ ცაისში" გადავიდა, მეორე გრაცის „შტურმში".

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

**2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი**

**ჩვენი მეტოქეები**

# უკრაინამ საქართველოს უზბეკეთი შეურჩია



**8 სექტემბერს** საქართველოს ნაკრები ევრო 2008-ის შესარჩევ მატჩში უკრაინას უმასპინძლებს. მანამდე კი ორივე გუნდი ამხანაგურ მატჩებს გამართავს და ერთმანეთთან შესახვედრად მოემზადებიან.

თუ ჩვენები 22 აგვისტოს ლუქსემბურგის ნაკრებს გაეჯიბრებიან, უკრაინელებმა სპარინგ-მეტოქედ უზბეკები შეარჩიეს.

უკრაინელთა მწვრთნელმა ოლეგ ბლოხინმა კი ის ფეხბურთელები დაასახელა, რომლებიც შუაზიელებთან ითამაშებენ და, სავარაუდოდ, ცვლილებები საქართველოს ნაკრებთან შეხვედრაში მინიმალური თუ იქნება...

***მეკარეები:*** *ალექსანდრ შოვკოვსკი (დინამო), ანდრეი პიატოვი (შახტარი), მაქსიმ სტარცევი (დნიპრო);*

***მცველები:*** *ვლადიმირ ეზერსკი, ალექსანდრ კუჩერი (შახტარი), ანდრეი რუსოლი (დნიპრო), ანდრეი ნესმაჩნი (დინამო);*

***ნახევარმცველები:*** *ოლეგ გუსევი, რუსლან როტანი, ტარას მიხალიკი (ყველა დინამო), ალექსანდრ გრიცაი, სერგეი ნაზარენკო (ორივე დნიპრო), სერგეი დანილოვსკი (ზენიტი, რუსეთი);*

***თავდამსხმელები:*** *ანდრეი შევჩენკო (ჩელსი, ინგლისი), ანდრეი ვორონინი (ლივერპული, ინგლისი), ანდრეი ვორობეი (დნიპრო), ალექსანდრ გლადკი (შახტარი).*

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# მერე რა, რომ წავიდნენ



**იტალიის** ნაკრების თავკაცი რობერტო დონადონი პრობლემას ვერ ხედავს იმაში, რომ „სკუადრა აძური" ორი წამყვანი ფეხბურთელის — ფრანჩესკო ტოტისა და ალესანდრო ნესტას გარეშე ითამაშებს.

„ისტორიის მანძილზე იტალიის ნაკრებში ბევრ დიდ ვარსკვლავს უთამაშია და ყველა მათგანს თავის დროზე დაუტოვებია იგი, მაგრამ ამას იტალიის ნაკრების გამარჯვებაში ხელი არ შეუშლია. შეუცვლელები არ არსებობენ, მე მათ შემცვლელებს ვეძებ და უახლოეს ამხანაგურ მატჩში რეზერვს გამოვცდი" — განაცხადა დონადონიმ.

უახლოესი ამხანაგური მატჩი კი „სკუადრა აძურას" 22 აგვისტოს უნგრეთის ნაკრებთან აქვს, ხოლო ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებს 8 და 12 სექტემბერს, შესაბამისად, საფრანგეთისა და უკრაინის ეროვნულ გუნდებთან გამართავს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**









# ფერგიც მაკად არის

**უეინ რუნის** დაშავებამ ინგლისურ პრესაში დიდი შეშფოთება გამოიწვია და, რაც პირდაპირ თვალშისაცემია, ინგლისელთა ეს შფოთვა არა „მანჩესტერ იუნაიტედის“, არამედ ინგლისის ნაკრების ბედით არის გამოწვეული.

ყველა გაზეთი თუ ტელე და რადიოარხი ფიქრობს, რა უნდა ქნას ევრო 2008-ის შესარჩევში, E-ჯგუფელი მეტოქეების, ისრაელისა და რუსეთის წინააღმდეგ ინგლისელთა მწვრთნელმა სტივ მაკლარენმა. ჟურნალისტები „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელ ალექს ფერგიუსონსაც კი ნაკრების ბედ-იღბალზე ეკითხებიან...

„რუნის ტრავმა ინგლისის ნაკრებისთვის დიდი დარტყმაა — თქვა შოტლანდიელმა — ვწუხვარ სტივ მაკლარენის გამო. ამ საკითხზე კვირა საღამოს ველაპარაკე და ვიგრძენი, რაოდენ შეწუხებულიცაა. მას სექტემბერში ისრაელსა და რუსეთთან აქვს სათამაშო და რამენაირად თავი უნდა გაართვას რთულ ამოცანას. მართალია, შესარჩევი თამაშები ოქტომბერშიც უწევს, მაგრამ ამ დროისთვის, იმედი მაქვს, რუნი დაბრუნდება და თავის გუნდს დაეხმარება“.

გარდა ნაკრებისა, 21 წლის ბომბარდირმა „მანჩესტერ იუნაიტედის“ შემადგენლობაში, სავარაუდოდ, პრემიერლიგის რვა და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის ორი მატჩიც უნდა გამოტოვოს.

„ორი თვით უკან დავიწიეთ — განაგრძო ფერგიმ — იმედი მაქვს, ამ ხნის განმავლობაში ის გამოჯანმრთელდება, მაგრამ მანამდე გამოსავლის მოძებნა და გაჭირვებიდან გამოსვლა მოგვიხდება. და მაინც, მთავარია, რუნი ვარჯიშს დროულად დაუბრუნდეს და ფიზიკური ფორმა მალე აღიდგინოს“.

და კიდევ, უეინ რუნის დაშავება იმას ნიშნავს, რომ არგენტინელი



სტივ მაკლარენი

კარლოს ტევესი დაგეგმილზე ადრე ითამაშებს „მანჩესტერ იუნაიტედის“ შემადგენლობაში თავის პირველ შეხვედრას — ეს დღეს „პორტსმუთის“ წინააღმდეგ შეხვედრაში მოხდება.

ისევ ფერგიუსონი: „არადა, ჩვენ გვერჩივნა, ტევესის მოედანზე შეშვებისგან კვირის ბოლომდე თავი შეგვეკავებინა. საბედნიეროდ, შაბათს და კვირას კარლოსმა ძალიან დიდი მონდომებით ივარჯიშა“.

თუმცა დავუბრუნდეთ ინგლისელთათვის ყველაზე მტკივნეულ, ნაკრების თემას, უფრო სწორად კი, კითხვას: რა უნდა ქნას „მაკმა“, ვინ უნდა ათამაშოს თავდასხმაში?

მოგეხსენებათ, ინგლისი მაინც ინგლისია და ასეთი თუ ისეთი გამოსავალი, ალბათ, ყველა შემთხვევაში მოიძებნება. აი, მაგალითად, მაკლარენისთვის სასიხარულო ცნობა მოვიდა ნიუკასლიდან — რუნის დაშავებიდან 48 საათის შემდეგ „ნიუკასლ იუნაიტედის“ შემადგენლობაში დაბრუნდა და მთელი 58 წუთი ითამაშა მაიკლ ოუენმა.

მატჩის შემდეგ ოუენმა განაცხადა: „თავს ჩინებულად ვგრძნობ და მოედანზე დაბრუნებამაც დიდი სიხარულის განცდა მომგვარა. საბედნიეროდ, ჩემი ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა, ყველაფერი რამდენიმე დღეში მოვაგვარე. კაცმა რომ თქვას, შაბათს, „ბოლტონთანაც“ კი შემეძლო თამაში, მაგრამ მწვრთნელმა არ მათამაშა და ეს ჩემთვის სასარგებლოც კი გამოდგა“.

ასე და ამგვარად, ძალიან ქვედალიგელ „ბლუ სტართან“ თამაში 27 წლის ოუენისთვის პირველი გახლდათ მას მერე, რაც ივლისში კუნთი გაიწყვიტა. აქედან გამომდინარე, სტივ მაკლარენმა ნიუკასლელს, შესაძლოა, 22 აგვისტოსთვის, გერმანიის ნაკრებთან ამხანაგურის სათამაშოდ უხმოს.

„სეზონისწინა შეხვედრების გამოტოვებამ გული ძალიან მატკინა, მაგრამ ახლა ყველაფერმა ჩაიარა და შაბათს „ასტონ ვილას“ წინააღმდეგ მოედანზე ვიქნები“.

**ბაკუნა კედია**

# ქომაგი და მამა: ჩელსი, მანჩესტერ იუნაიტედი, ლივერპული, არსენალი

**გაგაცნობთ** ინგლისური „სანის“ ახალ მიმომხილველს, რომელსაც დიდი წარდგენა არ სჭირდება — იან რაიტი, „არსენალისა“ და ინგლისის ნაკრების ფორვარდი, 90-იანი წლების პრემიერლიგის გამოკვეთილი ვარსკვლავი, რომელმაც 1997 წელს ათი წუთი თბილისშიც ითამაშა საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ. იგი გახლავთ „ჩელსის“ დღევანდელი ფეხბურთელის შონ რაიტ-ფილიპსის გამზრდელი-მამინაცვალი, თუმცა ქვემოთ მის ოჯახზე არ ვისაუბრებთ, აქ მის იმ მოსაზრებებს გაგაცნობთ, თავის ერთ-ერთ პირველ წერილში რომ გამოთქვა.

წერილს რაიტი ასე იწყებს: „დიდი მიხვედრა არ სჭირდება, თუ რომელ გუნდს ვქომაგობ და ვის ვიხილავდი დიდი სიამოვნებით ინგლისის ჩემპიონის რანგში, მაგრამ სამწუხაროდ, ამ სეზონში ჩემი საყვარელი „არსენალი“ „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და „ჩელსის“ ახლოსაც ვერ მიეკარება“.

შემდეგ ყოფილი არსენალელი პრემიერლიგის პირველი ტურით მიღებულ შთაბეჭდილებას გვიზიარებს. ის ამბობს, რომ კვირას „არსენალის“ „ფულემთან“ 2:1 გამარჯვებას უცქირა და „მეთოფეებს“ ოსტატობას ნამდვილად ვერ დაუწუნებს, თუმცა ნიშნები იმისა, რომ ვენგერი და მისი გუნდი ამ სეზონში ჩემპიონები ვერ გახდებიან, ასევე შეიმჩნეოდა.

„იმედი მაქვს, „არსენალი“ დამიმტკიცებს, რომ ვცდები“ — დასძენს რაიტი, რომლის აზრით, თუ მეთოფეებს ემანუელ ადებაიორი და ედუარდო და სილვა ფორმაში ეყოლებათ, ისინი ბევრი გუნდის გამწარებას შეძლებენ, თუმცა, ეყოფათ კი თანმიმდევრულობა, დაჟინება და მუდმივობა, რომელიც ასე საჭიროა არა ცალკეული გამონათებებისთვის, არამედ მთელი ტურნირის მოსაგებად?

„აქ საქმე სულაც არ არის იმაში, რომ „არსენალს“ სხვა გუნდებზე ნაკლები ფული აქვს. არსენ ვენგერს პრემიერლიგის ტიტული საკმაოდ მოკრძალებული დანახარჯითაც მოუგია. აქ საქმე ტიერი ანრის წასვლაშია, რამაც გუნდში მეტისმეტად დიდი სიცარიელე დატოვა და მისი შევსება ამ ეტაპზე შეუძლებელი მგონია“ — ბრძანებს ოდინდელი ბომბარდირი.

აღსანიშნავია, რომ რაიტის რწმენით, ანრის არყოფნა მხოლოდ გოლების ნაკლებობას კი არ ნიშნავს, არამედ, დიდი ფსიქოლოგიური ფაქტორია.

ანრი მოედანზე — ეს სხვა ფენომენი გახლდათ, რომელიც „არსენალს“ ვაგლახ, დააკლდება და ლონდონური გუნდის ნებისმიერი ფანი, რომელიც ამბობს, რომ ანრის წასვლა გუნდში პრობლემას არ შექმნის, იან რაიტის აზრით, თავს იტყუებს.

„რამდენიმე ახალგაზრდას შეუძლია, „არსენალის“ ლიდერად იქცეს, მაგრამ „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „ჩელსის“ შემყურე ხვდები, რომ ამ ორი გუნდის უპირატესობა ძალიან დიდია. საბოლოოდ ჩემი წინასწარმეტყველება ასეთია: „არსენალი“ მეოთხეზე გავა, მის წინ კი მესამე ადგილს „ლივერპული“ დაიკავებს“.



ტიერი ანრი და იან რაიტი

და რას ატყობს გამოცდილი თვალი „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და „ჩელსის“? რაიტი ვარაუდობს, რომ პირველზე „ჩელსი“ გავა, „იუნაიტედი“ კი მეორეზე. რატომ ფიქრობს ასე? იქნებ იფიქროთ, რომ მამობრივი გრძნობების გამო, თუმცა თავად სხვას ბრძანებს. ის ამბობს, რომ რუნის ტრავმა რუნის ტრავმად და, „რედინგთან“ შეხვედრაში მანჩესტერელებს საკუთარ თავში დარწმუნება ვერ შეატყო.

„დიდი გამოცდა იქნება თამაში პორტსმუთში, კვირის ბოლოს კი მანჩესტერული დერბია“.

რაიტს ძალიან აინტერესებს კარლოს ტევესის ამბავიც. შარშანო, ამბობს თავად ყოფილი თავდამსხმელი, მართალია, რუუდ ვან ნისტელროოი „რეალს“ მიჰყიდეს და ძლიერი ფორვარდის გარეშე დარჩნენ, მაგრამ მანჩესტერელებმა მაინც კარგად ითამაშეს, წლეულს კი ტევესის გამოცანის წინაშე ვდგავართო.

„ლონდონში კი დიდი შთაბეჭდილება მივიღე — განაგრძობს ექსპერტი — „ჩელსი“ „ბირმინგემს“ საუცხოოდ უტევდა. ჟოზე მაურინიოს ფეხბურთელები სალად გამოიყურებოდნენ. მაურინიომ ამ ზაფხულს რამდენიმე ჭკვიანური ტრანსფერი განახორციელა და რამდენადაც ამ კლუბის ბანაკიდან მომივიდა ხმები, გუნდში სერიოზული საჩემპიონო განწყობაა“.

**ბაკუნა კედია**

ეროვნული ბიბლიოთეკა




# კაცი იუნაიტედის მაისურით

## რამდენიმე ინგლისური ხუმრობა კარლოს ტევესის ტრანსფერთან დაკავშირებით

ᲐᲘ, კარგი ინგლისური ხუმრობა: კარლოს ტევესის „ვესტ ჰემიდან“ „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადასვლა ისეთი ხანგრძლივი გამოდგა, რომ ბრიტანული ტრანსფერების ისტორიაში მეორე ადგილზე გავიდაო, წერენ ენამწარენი. და, პირველზეო? პირველზე, პეტი ბოიდის ჯორჯ ჰარისონისგან წამოსვლა და ერიკ კლეპტონზე დაქორწინება რჩებაო — მოდელი და ფოტოხელოვანი პეტი ბოიდი პირველ როკ-ვარსკვლავი ქმრისგან მეორესთან ხუთი წლის განმავლობაში გადადიოდა.

მაგრამ, დასარული ყველაფერს აქვს, ასე განსაჯეთ, ტევესის ტრანსფერსაც და აი, ორშაბათს, არგენტინელი თავდამსხმელი უკვე მანჩესტერელთა მწვრთნელის სერ ალექს ფერგიუსონის გვერდით იჯდა თავის პირველ ოლდტრაფორდულ პრესკონფერენციაზე.

არადა, ამ საპრესკონფერენციო დარბაზამდე მისვლა მართლა ძნელზე ძნელი გამოდგა, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ „კარლიტოს გზა“ ბუენოს აირესის ნარკოტიკებითა და ლოთობით გადავსებული, ყოვლად საზიზღარი უბნიდან, „ფორდ აპაჩედან“ დაიწყო.

პროფესიონალი ფეხბურთელის კარიერის პირველი ნაბიჯი კი გახლდათ „ბოკა ხუნიორსი“, საიდანაც ტევესი სამხრეთამერიკული შიდა ტრანსფერების ისტორიაში სარეკორდო თანხად, 20 მილიონ დოლარად სან პაულუს „კორინთიანსში“ გადაბარგდა, ხოლო „კორინთიანსიდან“ ოკეანე გადაკვეთა და ლონდონის „ვესტ ჰემში“ ამოყო თავი.

და აი, კიდევ ერთი ინგლისური ხუმრობა: ტევესი მოედანზე ვინ და რა არის, ჯერ კიდევ გამოჩნდება, მოედნის მიღმა კი ინგლისურ ლექსიკონში უკვე დაამკვიდრა ისეთი სიტყვები, რომელთაც ჩვენს კუნძულზე აქამდე არავინ იყენებდა და ეს სიტყვები „მესამე პატრონი“ გახლავთო. ალბათ, მიხვდით, საუბარია „მანჩესტერ იუნაიტედს“, „ვესტ ჰემსა“ და კია ჯურაბჩიანს შორის გამართულ სატრანსფერო სერიალზე.

თუმცა დავუბრუნდეთ ორშაბათის პრესკონფერენციას, რომელმაც განსხვავებით იმ პრესკონფერენციისგან, ოდესლაც სან პაულუში რომ გაიმართა და პრესას „კორინთიანსის“ ახალი ფეხბურთელი გააცნო, სკანდალის გარეშე ჩაიარა. მაშინდელი საკანდალის არსი აი, რა გახლდათ: „კორინთიანსის“ ახალი ფეხბურთელი ტევესი საზოგადოებრიობას „მანჩესტერ იუნაიტედის“ მაისურით წარუდგა...

ახლა „იუნაიტედის“ კერინგტონის საწვრთნელ ცენტრში ტევესი შავ მაისურსა და „ეარ ჯორდანის“ სპორტულ ფეხსაცმელში გამოცხადდა.

პრესკონფერენციაზე ტევესის პასუხებს თარჯიმანი თარგმნიდა, თუმცა, არგენტინელს აქაც საკმაოდ უცნაურად მოუხდა საუბრის დაწყება — ვინ იფიქრებდა რამდენიმე დღის წინ, რომ მისალმების ნაცვლად თავდამსხმელს უეინ რუნის ტრავმაზე ჰკითხავდნენ. რა მოხდა პრემიერლიგის პირველ ტურში და რა შუაშია უეინ რუნი, აქ აღარ გავიმეორებთ.

„რუნის დონის ფეხბურთელის გამოკლება გუნდისთვის დიდი დარტყმაა — უპასუხა ტევესმა — რასაკვირველია, მისი სრულყოფილად შეცვლა ჩამთვის იოლი არ იქნება, მაგრამ მინდა იცოდეთ, რომ მოედანზე გასვლის არასდროს მშინებია, ასეთი რამ ერთხელაც არ მომხდარა, რაც, მგონი, გასულ სეზონში „ვესტ ჰემის“ შემადგენლობაში საკმაოდ თვალნათლივ დავამტკიცე. დიახ, „ვესტ ჰემში“ მძიმე დღეები გვედგა, მაგრამ ჩვენ, როგორც გუნდმა და როგორც პიროვნებებმა, დავამტკიცეთ, რომ კერკეტი კაკლები ვართ...

...გარწმუნებთ, „მანჩესტერ იუნაიტედშიც“ ზუსტად იგივეს ნახავთ. ამ გუნდის წითელი მაისურა მიზნითა და დაჟინებით ალმავსებს. გარდა ამისა, ჩემს სახეზე სიხარულსაც შეამჩნევდით“.

შემდეგ ჟურნალისტები დაინტერესდნენ, რამდენად ჩახედული იყო ტევესი იმ მოვლენებში, მისი „ამაზონის ჯუნგლებიდან“ გამოხსნას რომ დასჭირდა. ტრანსფერთან დაკავშირებულ ამ კითხვაზე ტევესმა ფართო ღიმილით უპასუხა:

„ძალიან ადვილი იყო იმის მიხვედრა, რომ ჩემი ტრანსფერი დიდ არეულობას გამოიწვევდა, თუმცა თავად „კოპა ამერიკაზე“ გამოვდიოდი და საქმეში ჩაფლულმა მთლად ზუსტად არ ვიცოდი, რა ხდებოდა აქ, ინგლისში, რა ძალისხმევა დასჭირდათ აქ მოტრიალე ადამიანებს, ჩემი ერთი გუნდიდან მეორეში გადასლა რომ მოეხერხებინათ. თავად განსაჯეთ, „კოპა ამერიკაზე“ არგენტინის ნაკრები ფინალში გავიდა, ასეთი შედეგი კი სრული მობილიზების გარეშე ვერ მოხერხდებოდა...

...მაგრამ, რაც მოხდა, მოხდა. ახლა მე უკვე „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელი ვარ და მთავარი ეს არის. მინდა გითხრათ, რომ ჩემთვის „ვესტ ჰემის“ დატოვება იოლი არ იყო, მაგრამ „მანჩესტერ იუნატედს“ მეტისმეტად დიდი ხიბლი აქვს“.

რასაკვირველია, „მანჩესტერ იუნაიტედს“ დიდი ხიბლი აქვს, რაც კარლოს ტევესის შემთხვევაში რიცხვებში ასე გამოისახება: კვირაში 91 ათასი გირვანქა.

როგორი ხიბლია?

და, თქვენი ნებართვით, კიდევ ერთ ინგლისურ ხუმრობას მოგახსენებთ, თუმცა ეს იმდენად ხუმრობა არ არის, რამდენადაც მწარე ირონია ან დარდია — სასაცილოაო, წერს „სანის“ ჟურნალისტი სტივენ ჰოვარდი, კარლოს ტევესისა და კიდევ ერთი ახალწვეულის ანდერსონის პრესის წინაშე წარდგენა იმ აკადემიის შენობაში მოხდა, სადაც „მანჩესტერ იუნაიტედი“ ათწლეულობით ზრდიდა და დიდ სარბიელზე უშვებდა ახალ ფეხბურთელებს, მაგალითად, შორს რომ არ წავიდეთ, რაიან გიგზს, დევიდ ბექემს, პოლ სქოულზს, ნიკი ბათს და სხვებსო.

რა არის სასაცილო? ის, რომ ხსენებული აკადემია ბექემს ვეღარ ზრდის და ერთადერთი, რაც დარჩენია, ოკეანის გაღმიდან ჩამოყვანილი ხალხის პრესისთვის გაცნობაა.

ჰაი, დედასაო — რაღაც ამდაგვარს იძახის მისტერ ჰოვარდი, ოღონდ ინგლისურად — ეს როგორ იცვლება დრო-ჟამი, ორ უცხოელში 50 მილიონზე მეტს ვიხდით და მათ იმ აკადემიაში წარვადგენთ, რომელიც ბექემებს და გიგზებს უკაპიკოდ უნდა ზრდიდესო.

„მე გადავედი უდიდესი წარსულის მქონე კლუბში და მინდა, მისი ისტორიის წიგნში ჩემი თავი ჩავწერო — თქვა ბოლოს ტევესმა — მინდა, „მანჩესტერს“ ბევრი დიდი ჯილდოს მოპოვებაში დავეხმარო. მინდა, რაც შეიძლება, მალე შევერწყა გუნდს და მოვიპოვო გულშემატკივართა ისეთივე მხარდაჭერა, როგორიც „ვესტ ჰემის“ ფანებისგან მქონდა. გადასარევია, როცა უდიდეს სტადიონზე გამოდიხარ და მხარს გიმშვენებენ უდიდესი ვარსკვლავები. ძალიან მინდა, თავადაც ერთ-ერთ მათგანად ვიქცე“.

**ᲑᲐᲑᲣᲜᲐ ᲫᲘᲓᲘᲐ**



პეტი ბოიდი ჯორჯ ჰარისონისგან ერიკ კლაპტონთან ხუთი წელი გადადიოდა





## ბიანკი, კორადი და ერიკსონი დაძმობილდნენ

**რონალდო ბიანკი** ემადლიერება ბერნარდო კორადის და სვენ გორან ერიკსონს პრემიერლიგაში საუცხოო დებიუტისთვის. „რეჯინადან“ „მანჩესტერ სიტიში“ გადასულმა ფორვარდმა პირველივე ტურში „ვესტ ჰემთან“ სტუმრად გოლი გაიტანა.

„ძალიან ბედნიერი ვარ, რადგან სწორედ ასეთ დასაწყისს ვნატრობდი — თქვა 24 წლის იტალიელმა — რა თქმა უნდა, ერთზე არ ვჩერდები, რადგან გატანა მწყურია.“

ბიანკიმ წინა სეზონში 18 გოლი მიითვალა, არადა, 2004-2005-ში, როცა „კალიარიში“ თამაშობდა, ორზე მეტი ვერ შეაგდო. მაშინ ამბობდნენ, მისგან მაღალი კლასის ფორვარდი არ დადგებაო, მაგრამ საპირისპირო დაამტკიცა.

„ბევრი მესიჯი მივიღე რეჯინელი თანაგუნდელებისა და კლუბის პრეზიდენტ ლილო ფოტისგან. გოლიანი დებიუტი მომილოცეს და წარმატება მისურვეს“ — ხარობდა ბიანკი.

როგორ ჩაეწერა ბიანკი ასე უცბად ინგლისურ ფეხბურთში? მას „სიტიში“ ყოფილი ლაციოელი ბერნარდო კორადი დახვდა და შეგუებაში დაეხმარა.

„კორადიმ თავის სახლში ძმასავით მიმიღო, ერიკსონიც გვერდით დამიდგა და თავს უცხოდ აღარ ვგრძნობ მანჩესტერში. მით უმეტეს, რომ მწვრთნელი ვარჯიშების იტალიურ მეთოდებს იყენებს, რაც ჩემთვის კარგად ნაცნობია.“

**ვაჟა ხუციშვილი**

## კრაუჩი ავტობუსში ველარ ეტევა...

**პიტერ კრაუჩის** საქმე „ლივერპულში“ მთლად მარტივად არ ყოფილა. პრემიერლიგის პირველ ტურში, ბირმინგემში „ასტონ ვილასთან“ სათამაშოდ კრაუჩი გახლდათ „დიდ ლივერპულელთაგან“ ერთადერთი, ვინც მწვრთნელმა რაფა ბენიტესმა თან არ იახლა. რაა გასაკვირი, რომ ამ ამბავმა აწოწილი თავდამსხმელი გაანაწყენა და მწვრთნელთან საუბარი მოიწადინა. კრაუჩს აინტერესებს, აპირებს თუ არა ბენიტესი მასზე დაყრდნობას და ამ კითხვაზე პირდაპირი პასუხი სჭირდება.



სხვათა შორის, ამ ზაფხულზე აქა-იქ ამბობდნენ, რომ პიტერ კრაუჩის ყიდვას „ნიუკასლ იუნაიტედი“ აპირებდა, მაგრამ ხმები ხმებად დარჩა.

„ვილა პარკზე“, სადაც ბენიტესმა კრაუჩი არ იახლა, ლივერპულელთა თავდასხმაში დირკ კუიტს პარტნიორობას მადრიდის „ატლეტიკოსგან“ ახალშეძენილი ფორვარდი ფერნანდო ტორესი უწევდა. კრაუჩის პრობლემაც, როგორც ამბობენ, სწორედ ტორესია — მოიძებნება კი ადგილი ინგლისელისთვის მერსისაიდში ესპანელის გამოჩენის შემდეგ?

პასუხს რაფა იტყვის.

**პაპუნა ძიძია**

### ჟარდელი ავსტრალია

**მოგზაურმა** ფეხბურთელმა მარიო ჟარდელმა ავსტრალიის ელიგაში ამოყო თავი და იქაურ „ნიუკასლ ჯეტსთან“ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

33 წლის ბრაზილიელს ორჯერ („სპორტინგში“ და „პორტუში“) მოუგია „ოქროს ბურთი“. ბოლო ხუთი სეზონის განმავლობაში კი მხოლოდ 37 მატჩი ითამაშა.

ბოლოს კვიპროსის „ანართოსისში“ იყო და 12 მაისის შემდეგ მოედანზე არ გასულა.

მარიო ჟარდელმა 12 კლუბი მოძარა კარიერაში და ახლა ავსტრალიაში გააგორებს ბურთს.

### შოტლანდიელი ცხვარი

**„დერბის“** მწვრთნელმა ბილი დევისმა კონტრაქტი 2010 წლამდე გაახანგრძლივა.

პრემიერლიგა შაბათს დაიწყო და „ცხვრები“ პირველ ტურში „პორტსმუთს“ დაუზავდნენ (2:2).

შოტლანდიელმა თავკაცმა შარშან ზაფხულს ჩაიბარა „დერბი“, მას შემდეგ, რაც „პრესტონი“ მიატოვა და ახალი გუნდი ელიტაში ხუთწლიანი შესვენების მერე აიყვანა.

**ვაჟა ხუციშვილი**

## დღეს შოლს გააცილებენ

### ვან ბომელი ძველ სიყვარულს ნახავს

მიუნხენის „ბაიერნის“ 334 მატჩში 87 გოლის გამტან მეჰმეთ შოლს დღეს „ალიანს არენაზე“ გაცილებას მოუწყობენ. კარლსრუეში დაბადებული თურქი „ბარსელონასთან“ მატჩით ფეხბურთის თამაშს ოფიციალურად დაასრულებს.

ბაიერნელი მარკ ვან ბომელი კი ის კაცია, ვინც შარშან ზაფხულს „ბარსელონადან“ იყიდეს და მისი ინტერვიუ კატალონიური კლუბის ვებგვერდზე გამოქვეყნდა...



— უჩვეულო მატჩი იქნება ჩემთვის, რადგან „ბარსა“ ისევ მიყვარს. მის თამაშებს შეძლებისდაგვარად ვუყურებ. ზოგ ფეხბურთელს და მწვრთნელს ხშირად ვესაუბრები ხოლმე ტელეფონით.

— ეს შეხვედრი ტესტია ორივე გუნდისთვის?

— დიახ. ჩვენ შეიძლება ცოტა გაგვიჭირდეს, რადგან შაბათს უკვე ვითამაშეთ. თან სამ დღეში „ვერდერს“ უნდა ვესტუმროთ. კარგი გამოცდა გველის და ფორმის შენარჩუნებაში დაგვეხმარება, თუმც ვეჭვობ, რომ მთელი მატჩი ერთი შემადგენლობით ჩავატაროთ.

— სეზონი ახალდაწყებულია და ამხანაგური შეხვედრა უდროო ხომ არ არის?

— ჰო, მაგრამ ჩვენ მეჰმეთ შოლი ღირსეულად უნდა გავაცილოთ.

— ამ მატჩს ალბათ მოუთმენლად ელიან გერმანიაში...

— „ბარსელონა“ დიდი კლუბია და სეზონის წინ კიდევ უფრო გაძლიერდა. აქ ბევრს ლაპარაკობენ ამ მატჩზე, რადგან ყველას აინტერესებს, ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდთან როგორ ითამაშებს „ბაიერნი“.

— რას ფიქრობთ ორივე გუნდის ახალწვეულებზე?

— რვა ფეხბურთელი დავიმატეთ და რვავე უმაღლესი კლასისაა. მთავარია, რომ ისინი იოლად მოერგნენ „ბაიერნის“ სათამაშო ყაიდას. „ბარსამ“ კი ანრი, იაია ტურე, აბიდალი და მილიტო შეიძინა, რაც ალბათ ჯილდოების მოგებაში დაეხმარება.

— „ბაიერნი“ ძალიან ამბიციურია ამ სეზონში...

— ჩვენ ბუნდესლიგაში, გერმანიის და უეფას თასებზე ვითამაშებთ. საუცხოო შემადგენლობა გვყავს და 2-3 ტიტულის მოპოვებას ვაპირებთ.

— „ბარსელონა“ თუ შეძლებს 2005-06 წლების სეზონის მიღწევას გამეორებას?

— ახლანდელი შემადგენლობით შეძლებს. წინა სეზონში ძალიან მოინდომეს და ვერაფერი იხეირეს, ზოგჯერ კი არ უმართლებდათ, მაგალითად, „ლივერპულთან“ მეოთხედფინალურ მატჩში. „ბარსა“ დიდი გუნდია, მაგრამ დიდებსაც სჭირდებათ იღბალი.

— რა აკლდა „ბაიერნს“ წინა სეზონში?

— ისეთ მეტოქეებთან წავაგეთ მატჩები, რომლებიც ცხრილის ბოლოში იყვნენ და სეზონის ბოლოს აღმოჩნდა, რომ 20 ქულა გავანიავეთ — ეს კი ძალიან ბევრია.

— „ბარსელონას“ და „ბაიერნს“ შორის სხვაობაზე რას იტყვით?

— „ბარსა“ უფრო სახალხოა, კატალონიისთვის ყველაფერია, „ბაიერნი“ კი გერმანიაში ბევრს გულზე არ ეხატება, რადგან უამრავი ჯილდო მოუგია და ნებისმიერი მეტოქე გაშმაგებული ეთამაშება. კატალონიელი და ბავარიელი ფანები რაღაცით ჰგვანან კიდეც ერთმანეთს, მაგრამ „ბარსელონას“ გაცილებით მეტი გულშემატკივარი ჰყავს.

— გერმანიის და ესპანეთის ჩემპიონატები შეადარეთ...

— ნებისმიერ ესპანურ კლუბს შეუძლია, სპექტაკლი შემოგთავაზოთ. ჩვენ თვითონ დავრწმუნდით, როცა „მალიორკამ“ ამხანაგურ მატჩში 3:0 მოგვიგო. გერმანული კლუბები ტექნიკაში ჩამოუვარდებიან, მაგრამ ბრძოლის ჟინი მოჭარბებული აქვთ. შრომისმოყვარეობით აბათილებენ ტექნიკურ წუნს.

— როგორ გახსენდებთ „ბარსელონას“?

— ყველაფერი გადასარევი იყო: დიდებული სტადიონი, ქალაქი, რომელიც ჩემს ოჯახს ძალიან შეუყვარდა. ბევრი კარგი მახსენდება, განსაკუთრებით ჩემპიონთა ლიგის მოგებული ფინალი.

## ფანჯული ჰამბურგიდან

**რაფაელ ვან დერ ვაარტს** „ჰამბურგიდან“ „ვალენსიაში“ გადასვლა უნდა. რამდენიმე დღის წინ გერმანულმა კლუბმა უარყო ცნობა „ღამურებთან“ მოლაპარაკების თაობაზე, მაგრამ ჰოლანდიელმა ესპანეთში თამაშის სურვილი „ჰამბურგერ აბენდბლადტთან“ გაამხილა.



„მე გადაწყვეტილი მაქვს აქედან წასვლა და „ვალენსია“ საუკეთესო ვარიანტია. აქ რომ დავრჩე, დავიტანჯები“ — თქვა 24 წლის ნახევარმცველმა.

ამის შემდეგ კლუბმაც დაადასტურა „ვალენსიას“ ამბავი, მაგრამ განაცხადა, რომ ვან დერ ვაარტის შენარჩუნება სურს, რომელიც „აიაქსიდან“ 2005-ში იყიდა.

„როცა ასეთ ფეხბურთელზეა საუბარი, ფული მთავარი არაა, რადგან რაფაელს ფულით ვერ შეცვლი“ — განაცხადა „ჰამბურგის“ სპორტულმა დირექტორმა დიტმარ ბაიერსდორფერმა.

ესპანელი დედის შვილმა რაფაელ ვან დერ ვაარტმა ცოტა ხნის წინ ისიც თქვა, მადრიდის „რეალმა“ თუ მოისურვა ჩემი წაყვანა, უმალ დავთანხმდებიო, მაგრამ მადრიდელებმა ორი სხვა ჰოლანდიელი იყიდეს. „ჰამბურგერ მორგენპოსტის“ ცნობით, „ვალენსია“ ფეხბურთელში 14 მილიონ ევროს იხდის.

| 11005 | სიტი-დერბი | 2.05 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11006 | პორტსმუთი-მანჩესტერი | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.40 |
| 11007 | რედინგი-ჩელსი | 8.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.20 |
| 11008 | უიგანი-მიდლსბრო | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11171 | ბორდო-ლე მანი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11173 | მონაკო-მეცი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11174 | პსჟ-ლორიანი | 2.05 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12001 | ბირმინგემი-სანდერლენდი | 1.50 | 2.00 |
| 12004 | ფულემი-ბოლტონი | 1.60 | 1.85 |
| 12005 | სიტი-დერბი | 1.60 | 1.85 |
| 12006 | პორტსმუთი-მანჩესტერი | 1.75 | 1.70 |
| 12007 | რედინგი-ჩელსი | 1.65 | 1.80 |
| 12008 | უიგანი-მიდლსბრო | 1.55 | 1.90 |
| 12171 | ბორდო-ლე მანი | 1.45 | 2.10 |
| 12173 | მონაკო-მეცი | 1.55 | 1.90 |
| 12174 | პსჟ-ლორიანი | 1.50 | 2.00 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14001 | ბირმინგემი-სანდერლენდი | 1.80 | 2.00 |
| 14004 | ფულემი-ბოლტონი | 1.75 | 2.10 |
| 14005 | სიტი-დერბი | 1.30 | 2.50 |
| 14006 | პორტსმუთი-მანჩესტერი | 2.50 | 1.30 |
| 14007 | რედინგი-ჩელსი | 2.60 | 1.20 |
| 14008 | უიგანი-მიდლსბრო | 1.75 | 2.10 |
| 14171 | ბორდო-ლე მანი | 1.30 | 2.50 |
| 14173 | მონაკო-მეცი | 1.30 | 2.50 |
| 14174 | პსჟ-ლორიანი | 1.30 | 2.50 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15001 | ბირმინგემი-სანდერლენდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15004 | ფულემი-ბოლტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15005 | სიტი-დერბი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15006 | პორტსმუთი-მანჩესტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15007 | რედინგი-ჩელსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15008 | უიგანი-მიდლსბრო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15171 | ბორდო-ლე მანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15173 | მონაკო-მეცი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15174 | პსჟ-ლორიანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16001 | ბირმინგემი-სანდერლენდი | 1.58 | 2.10 |
| 16004 | ფულემი-ბოლტონი | 1.50 | 2.30 |
| 16005 | სიტი-დერბი | 1.14 | 4.70 |
| 16006 | პორტსმუთი-მანჩესტერი | 3.60 | 1.23 |
| 16007 | რედინგი-ჩელსი | 3.60 | 1.23 |
| 16008 | უიგანი-მიდლსბრო | 1.50 | 2.30 |
| 16171 | ბორდო-ლე მანი | 1.17 | 4.10 |
| 16173 | მონაკო-მეცი | 1.17 | 4.10 |
| 16174 | პსჟ-ლორიანი | 1.14 | 4.70 |

### გოლი: ლუწი-1, კენტი-2 (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17001 | ბირმინგემი-სანდერლენდი | 1.85 | 1.95 |
| 17004 | ფულემი-ბოლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17005 | სიტი-დერბი | 1.85 | 1.95 |
| 17006 | პორტსმუთი-მანჩესტერი | 1.85 | 1.95 |
| 17007 | რედინგი-ჩელსი | 1.85 | 1.95 |
| 17008 | უიგანი-მიდლსბრო | 1.85 | 1.95 |
| 17171 | ბორდო-ლე მანი | 1.85 | 1.95 |
| 17173 | მონაკო-მეცი | 1.85 | 1.95 |
| 17174 | პსჟ-ლორიანი | 1.85 | 1.95 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბორისა ბოლოს ელის

## გუნდი, შვილი და იქნებ ნაკრებიც



ამ სტრიქონებს რომ კითხულობთ, ეგებ ვლადიმერ ბორისა შამპანურის ბოკალით ზეიმობდეს მეორე შვილი შეძენას. გუშინ მას სლოვენიაში რომ შევეხმიანეთ, სამშობიაროში იყო და გვითხრა, ჩემი მეუღლე უკვე ექიმებთანაა და შეიძლება, დღესვე იმშობიაროსო. სწორედ ეს არის მიზეზი, ბორისა რომ დღეს საქართველოს ნაკრებში არ არის. ბავშვის მომლოდინე მეუღლეს ვერ მივატოვებო, შემოთვალა ვოვამ და წინააღმდეგიც ვინ უნდა წასულიყო. თან ვოვა უგუნდოდ გახლდათ, მაგრამ ეს პრობლემა მალევე გადაჭრა — რუსულ „სპარტაკ-პრიმორიეს" გაურიგდა, რომელთანაც სიტყვიერ შეთანხმებას ნახევარი თვის წინ მიაღწია, რამდენიმე დღის წინ კი ვლადივოსტოკელებთან კონტრაქტიც გააფორმა...

**— ვოვა, ამას წინათ რომ გელაპარაკე, ახალ გუნდთან კონტრაქტი გაფორმებული ჯერ არ გქონდა. ახლა ალბაც უკვე უნდა მოგილოცო...**

— ცოტა გვიან რომ დაგერეკა, ეგებ შვილის შეძენაც მოგელოცა, თუმც არა უშავს, ეგ მერე იყოს, ამჯერად კონტრაქტის გაფორმების მილოცვით შემოიფარგლე.

**— ვლადივოსტოკში ჩახვედი ხელშეკრულების გასაფორმებლად?**

— არა, მოსკოვში ვიყავი ერთი დღით და სამედიცინო შემოწმება გავიარე. მართალია, ჯერ საბოლოო პასუხები არ ყოფილა, მაგრამ ეს წმინდა წყლის ფორმალობაა. ყველაფერმა კარგად ჩაიარა, აბსოლუტურად ჯანმრთელი ვარ და კონტრაქტზეც მოვაწერე ხელი.

**— ახალ გუნდში როგორ შეგხვდნენ?**

— მოთამაშეები არ მინახავს, მხოლოდ კლუბის ხელმძღვანელობას შევხვდი. „სპარტაკ-პრიმორიეს" პრეზიდენტი ვიტალი ნოსოვია, რომელიც ადრე ლიუბლიანის „ოლიმპიაში" თამაშობდა და ასე თუ ისე, მას ვიცნობ. ძალიან თბილად დამხვდა, შინაურივით მიმიღო, გამაცნო გუნდის მწვრთნელები და საბუღალტრო საქმეებიც მომიგვარა. ყველაფერმა ისე ჩაიარა, როგორც შემპირდნენ, მოსკოვიდან ძალიან კმაყოფილი წამოვედი.

**— პრესასთან არ გისაუბრია?**

— არა, ჟურნალისტებთან შეხვედრა ვლადივოსტოკში იგეგმება. „სპარტაკი" რამდენიმე დღის წინ შეიკრიბა და ხვალ ფინეთში მიემგზავრება. მე 10-დღიანი შვებულება მომცეს. იციან, შვილის შეძენას რომ ველოდები და ულაპარაკოდ გამომიშვეს.

**— არ შეიძლება, ნაკრებზე არ გკითხო...**

— რუსებმა იციან, რომ მე ამ საკვალიფიკაციოზე საქართველოს ნაკრებში თამაშზე უარი ვთქვი. ეს მართლაც ასეა, თუმც იმედი მაქვს, ბოლო მატჩებში მაინც მივიღებ მონაწილეობას.

**— როდის გადაწყდება, დაეხმარები თუ არა ნაკრებს?**

— ეს უკვე „სპარტაკ-პრიმორიეს" და საქართველოს კალათბურთის ფედერაციას შორის მოლაპარაკებაზეა დამოკიდებული. დღესხვალ ჩემი მეუღლე იმშობიარებს, იმედია, ღმერთის წყალობით ყველაფერი კარგად ჩაივლის და მერე, 26 აგვისტოს კლუბში უნდა მივიდე. ვნახოთ, რა როგორ იქნება.

**— იმედია, ჯგუფიდან გავალთ და პლეი ოფში მაინც ნაკრებში იქნები. ის მატჩები ხომ შედარებით გვიან, სექტემბრის შუა რიცხვებში გაიმართება.**

— თუ მანამდე ვერა, ვეცდები, პლეი ოფში აუცილებლად დავეხმარო საქართველოს ნაკრებს.

**ირაკლი პერტაია**

# რაილის კიდევ სამი



**„მაიამი ჰითის"** თავკაცმა პატ რაილიმ განაცხადა, რომ კლუბში კიდევ სამი წელი იმუშავებს. რაილის ამის თქმის საშუალებას ის აძლევს, რომ ის მაიამური გუნდის პრეზიდენტიცაა და მისი გადასაწყვეტია, ვინ იქნება მწვრთნელი. მაიამიში რაილის ამ გადაწყვეტილებით უკმაყოფილონი ალბათ არ იქნებიან, რადგან მისი დონის სპეციალისტები ნბა-ში თითებზე დასათვლელია. პატ რაილიმ ბოლო საჩემპიონატო ტიტული 2 წლის წინ მოიგო, სულ კი 5-ჯერ უჩემპიონია. ამ მხრივ, მას მხოლოდ ორი მწვრთნელი უსწრებს — რედ აუერბახი და ფილ ჯექსონი.

# იასიკევიჩუსმა ევროპა იუარა



**„ინდიანა პეისერზთან"** კონტრაქტის დასრულების შემდეგ ლიტველ შარუნას იასიკევიჩუსს ევროგრანდები დაეხვივნენ, მაგრამ ამაოდ. ლიტველმა სუპერგამთამაშებელმა „ბარსელონასა" და „ოლიმპიაკოსის" საკმაოდ სარფიანი წინადადებები უარყო და განაცხადა, ნბა-ში ვრჩებიო. ჯერჯერობით უცნობია, სად გააგრძელებს იგი კარიერას.

# მეომრებმა კარიბელი გაუშვეს



**„გოლდენ სტეიტმა"** კარიბის კუნძულელ ცენტრ ადონალ ფოილზე უარი თქვა და მისთვის სხვა კლუბში რომ გაეხსნა გზა, 6-წლიანი კონტრაქტის ბოლო ორი წელი გამოისყიდა. ფოილმა 2003 წელს გააფორმა ხელშეკრულება „მეომრებთან", მისი საერთო ღირებულება 42 მილიონი დოლარი გახლდათ, მაგრამ კარიბელმა ვერ გაამართლა და ოკლენდელებმა მასთან დაშორება გადაწყვიტეს. 32 წლის ფოილს მსურველებიც გამოუჩნდნენ — დიდი შანსია, კარიბელმა გოგანტმა კარიერა „ორლანდოში" გააგრძელოს.

**ირაკლი პერტაია**

# ხეირი შენ, ხეირი მე...

## ცქიტიშვილი ტერამოში წავიდა

**5 წლის** შემდეგ ნიკა ცქიტიშვილი სერია A-ს უბრუნდება. 2002 წელს ის ლიუბლიანურ „სლოვანიდან" ტრევიზოს „ბენეტონში" გადავიდა და როგორც ზემონაცემების მქონე თინეიჯერმა, რამდენიმე თვეში უკვე ნბა-ში ამოყო თავი. „დენვერ ნაგეტსმა" მას ძალიან დიდი ავანსი უბოძა, დრაფტის მე-5 არჩევანი დაახარჯა, მაგრამ...

ცქიტიშვილმა გუშინწინ იტალიურ „ტერამოსთან" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ეს მისი მორიგი შანსია. ნიკას არაერთხელ მიეცა შანსი, რომელიც მან უდარდელად გაანიავა, თუმც ამჯერად ის უკვე საკმაოდ დალევინებულია და თუკი კალათბურთში რამის თქმა უნდა, ახლა უნდა თქვას.

„ცქიტიშვილს ნბა-ში დაბრუნება სურს და ამაში ჩვენ მას დავეხმარებით — თქვა „ტერამოს" პრეზიდენტმა გილერმე ანტონეტიმ — მას ჩვენს გუნდში კარგი საშუალება ექნება საიმისოდ, რომ თამაში დახვეწოს და ამით თავისი საქმეც გაიკეთოს და ჩვენც გვახეიროს. ძალიან კმაყოფილები ვართ, რომ ცქიტიშვილი შევიმატეთ. ის ნამდვილი ტალანტია."

„ტერამო" სერია A-ს გასულ სეზონში მე-13 ადგილზე გავიდა — ვერც პლეი ოფში შეძვრა და გასავარდნი ზონიდანაც კარგა მოშორებით იყო. ვერ ვიტყვით, ტერამოელები დიდი ამბიციით გამოირჩევიანო, თუმც მომავალ სეზონში საპლეიოფო რვეულში შესასვლელად ბრძოლას კი აპირებენ.

გუნდში არავინაა მქუხარე სახელის მქონე, რაც იმის იმედს იძლევა, რომ ცქიტიშვილს სათამაშო დროის სიმცირე არ შეაწუხებს.

„ცქიტოს" კონტრაქტით ალბათ საქართველოს ნაკრებიც იხეირებს, რომელიც 18 ივლისს შეიკრიბა, მაგრამ ცქიტიშვილს მასში ერთხელაც არ უვარჯიშია. ის კლუბს ეძებდა და რაკი იპოვა, მალე ალბათ საქართველოს ნაკრებშიც გამოჩნდება, რომელსაც მომავალ საშაბათს უკვე ოფიციალური მატჩი ელის ლუქსემბურგში.



ცქიტიშვილი „ბენეტონის" მაისურით

**ირაკლი პერტაია**


კალათბურთი

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

ბ დივიზიონი

25 აგვისტო

საქართველო vs ავსტრია

დასაწყისი: 19.00

2 სექტემბერი

საქართველო vs ფინეთი

დასაწყისი: 19.00

სახალხო ბანკი
PEOPLE'S BANK

GEOSPORT

24-ე სტუდენტური უნივერსიადა ბანგკოკი, ტაილანდი. 8-18 აგვისტო

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ოქროს დღე

## გრიგოლ შინჯიკაშვილი უნივერსიადის ჩემპიონია!

**გრიგოლ შინჯიკაშვილმა** მსოფლიოს უნივერსიადაზე საქართველოს პირველი მედალი მოუტანა. 81 კილოგრამში მოჭიდავე ძიუდოისტმა გუშინ ბანგკოკის ტატამზე დაუმარცხებლად ჩაამთავრა ტურნირი და ჩემპიონი გახდა. შინჯიკაშვილმა ხუთი შეხვედრა მოიგო, აქედან სამი წმინდად. პირველ წრეში იტალიელ ლორენცო ბანიოლის ვაზარით აჯობა, მერე ბელარუს მიხაილ ბარკუცკის 49 წამი აკმარა, გერმანელი კრისტოფ ლამბერტი ოთხ წუთში დააიპონა, იაპონელი ჰიროტაკა კატო — ორ წუთში. ოქროს ბრძოლაში კი კორეელ ჟი კიმ მინს გაფრთხილებით აჯობა.

ბიძინა მოხევიშვილის შვიდეულიდან გუშინ 90-კილოგრამიანმა სოსო მსხალაძემაც იჭიდავა, მაგრამ მხოლოდ ერთხელ მოუწია ტატამზე გასვლა — პირველივე წრეში ეგვიპტელ ჰეშამ მობაჰთან დამარცხდა და რადგან მერე ვერც ამან იყოჩაღა, ჩვენებურმა რეპეშაჟის შანსიც დაკარგა.

ამრიგად ათკაციანი ქართული დელეგაციადან უნივერსიადა ზუსტად ნახევარმა დაასრულა და ყულაბაში ერთი ოქროა. შეჯიბრში დღეს კიდევ ორი ძიუდოისტი და ორი მხატვრული ტანმოვარჯიშეც ჩაერთვება. ხვალ კი ტატამზე მსუბუქწონიანი ვახტანგ ხოსიტაშვილი გავა.

მინდია ხომიზურმა (66 კგ) და ბექა ბიდაურმა (73 კგ) უკვე მეტოქეთა ვინაობაც იციან. პირველ ტურნირს ჩინელი იაომინგ იანგით დაიწყებს, ხოლო მეორე უზბეკი მუმინ ნაბიევით. ტანმოვარჯიშეები ქეთი ხატიაშვილი და თათია დონაძე კი მრავალჭიდში გამოვლენ.

**ოთარ გაღლაძელიძე**



# ვინ გაანათებს ცინცინატიში?

**ჩრდილოეთ ამერიკაში საზაფხულო ჰარდის სეზონი დუღს. წლის მეოთხე და ბოლო სლემტურნირის, ამერიკის შეერთებული შტატების ღია პირველობის დაწყებამდე ორი კვირით ადრე ცინცინატიში მორიგი, სეზონში რიგით მეშვიდე მასტერსი გახურდა, ხოლო ქალებმა კანადაში გადაინაცვლეს, სადაც ტორონტოს მაგარსაფარზე მილიონ სამასორმოცათას დოლარიანი ტურნირი დაიწყო**

**კაცები**
**ცინცინატი. აშშ.**
**მასტერსის სერია. ჰარდი.**
**საპრიზო 2 200 000 $**

განთესილები: 1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია), 2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი), 3. ენდი როდიკი (აშშ), 4. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი), 5. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი), 6. ფერნანდო გონსალესი (ჩილე), 7. ტომი რობრედო (ესპანეთი), 8. რიშარ გასკე (საფრანგეთი), 9. ჯეიმს ბლეიკი (აშშ), 10. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი), 11. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია), 12. ტომი ჰაასი (გერმანია), 13. მიხაილ იუჟნი (რუსეთი), 14. ენდი მიურეი (ბრიტანეთი), 15. გილერმო კანასი (არგენტინა), 16. დავიდ ფერერი (ესპანეთი).

ისევე, როგორც წინა, მონრეალის მასტერსზე, ცინცინატიშიც ყველა უძლიერესი თამაშობს — რეიტინგის პირველი ოცეულის უკლებლივ ყველა წევრი მწყობრშია და ეს ტურნირს დამატებით ინტრიგას მატებს.

მთავარი ინტრიგა კი სერბი ნოვაკ ჯოკოვიჩია — მონრეალში მესამე, მეორე და პირველი ჩოგნების — ენდი როდიკის, რაფაელ ნადალის და როჯერ ფედერერის მიჯრით დამცემმა სერბმა მართლაც რომ დამატებითი მუხტი შემატა ბოლო ხანებში ფედერერ-ნადალის დუელად ქცეულ კაცთა ჩოგბურთს და საინტერესოა, როგორ განვითარდება მოვლენები ამ ჯერზე.

### პირველი წრე

**ტომაშ ბერდიხი** (10, ჩეხეთი) — ბენჯამინ ბეკერი (გერმანია) 6:3 6:4; **ივან ლიუბიჩიჩი** (11, ხორვატია) — ემირ დელიჩი (აშშ) 1:6 7:6 6:3; **მიხაილ იუჟნი** (12, რუსეთი) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 6:3 6:1; **დავიდ ფერერი** (16, ესპანეთი) — ჯონ აიზნერი (აშშ) 7:6 6:3; **ფერნანდო ვერდასკო** (ესპანეთი) — ფილიპო ვოლანდრი (იტალია) 6:2 6:2; **იარკო ნიემინენი** (ფინეთი) — ვინსენ სპადეა (აშშ) 6:2 6:0; **კარლოს მოია** (ესპანეთი) — დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) 7:6 7:6; **ნიკოლას კიფერი** (გერმანია) — მარატ საფინი (რუსეთი) 6:3 7:6; **ხუან იგნასიო ჩელა** (არგენტინა) — ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი 6:4 3:6 6:3; **იურგენ მელცერი** (ავსტრია) — ივო კარლოვიჩი (ხორვატია) 7:6 7:6; **ნიკოლას ალმაგრო** (ესპანეთი) — ფლორიან მაიერი (გერმანია) 7:6 6:4; **სემ ქუერი** (აშშ) — მარკ ჟიკელი (საფრანგეთი) 7:5 5:7 6:4

განთესვის რვა მოწინავე ბრძოლაში მეორე წრიდან ჩაებმება. მანამდე მეორე ეშელონის განთესილებმა დაიწყეს და წარმატებითაც. ერთი ივან ლიუბიჩიჩს გაუჭირდა ემირ დელიჩის დამარცხება, თორემ ტომაშ ბერდიხმა, მიხაილ იუჟნიმ და დავიდ ფერერმა ორ-ორ სეტში მოამთავრეს თავთავიანთი საქმე.

ფერერის გამარჯვება უნდა გამოვყოთ. მას მეტოქედ 204-სანტიმეტრიანი ამერიკელი ჯონ აიზნერი ჰყავდა, რომელმაც ამ ორი კვირის წინ ფურორი მოახდინა ვაშინგტონის კორტებზე და აბსოლუტურად უცნობი კაცი ფინალამდე მივიდა.

ამჯერად არ გამოვიდა — პირველ სეტში ამერიკელმა ტაიბრეიკამდე კი მიაღწია, მაგრამ სულ ეს იყო — საჩოგბურთო პენალტიბში ესპანელმა იმარჯვა და მეორე სეტში მისი უპირატესობა, უკვე აშკარა იყო.

რამდენიმე სიტყვა ვეტერანებზეც ვთქვათ. წვალობს, ჯახირობს, საჩოგბურთო დაისს იგრძელებს ბრიტანელი ტიმ ჰენმანი. აღარც გამოსდის რამე დ აღარც ეშვება. იძახის, კორტზე ყოფნა მსიამოვნებსო და სულ ეგ არის. პირველი წრე ტიმმა ვერც ცინცინატიში გაიარა — სამი სეტი ეომა არგენტინელ ჩელას და მერე ჩოგნები ჩანთაში ჩაალაგა.

ჯერ ჰენმანის ასაკამდე ბევრი უკლია, მაგრამ თამაშით, იქნებ უარესადაც თამაშობდეს მარატ საფინი. ოდესღაც მრისხანე რუსი უიმედოდ დამარცხდა ნიკოლას კიფერთან, ვინც აგრეთვე ვეტერანთა კატეგორიას განეკუთვნება.

აი, კარლოს მოიას კი, ვინც 1999 წელს ორიოდე კვირით მსოფლიოს პირველი ჩოგანიც იყო, რაღაც რენესანსისმაგვარი აქვს და წლეულს საკმაოდ კარგად და სტაბილურად იქნევს ჩოგანს. მართალია, მისი საპირველწრეო მეტოქე დავიდ ნალბანდიანი ღრმა კრიზისში ჭყუმპალაობს, მაგრამ ამ არმენო-არგენტინელს ჰარდზე თამაში ნამდვილად არ ესწავლება და მოიას გამარჯვებაც მით უფრო დასაფასებელია.



კარლოს მოია

**ქალები**
**ტორონტო. კანადა. ჰარდი.**
**საპრიზო 1 340 000 $**

განთესილები: 1. ჟუსტინ ენინი (ბელგია), 2. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი), 3. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი), 4. ანა ივანოვიჩი (სერბეთი), 5. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი), 6. ნადია პეტროვა (რუსეთი), 7. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი), 8. ელენა დემენტიევა (რუსეთი), 9. დინარა საფინა (რუსეთი), 10. პატი შნიდერი (შვეიცარია), 11. შაჰარ პირი (ისრაელი), 12. ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი), 13. სიბილ ბამერი (ავსტრია), 14. კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია), 15. ალიონა ბონდარენკო (უკრაინა), 16. ლუსი შაფაროვა (ჩეხეთი)

აჰა, მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ჟუსტინ ენინმაც დაიწყო ჩრდილოამერიკულ ჰარდზე ჩოგნის ქნევა. სამაგიეროდ, ამჯერად არ არის მარია შარაპოვა და კვლავაც უქმობენ ამერიკელი დები უილიამსები და ფრანგი ამელი მორესმო.

### პირველი წრე

**დინარა საფინა** (9, რუსეთი) — კამილ პინი (საფრანგეთი) 7:6 3:6 7:5; **პატი შნიდერი** (10, შვეიცარია) — ანაბელ მედინა გარიგესი (ესპანეთი) 6:3 6:2; **შაჰარ პირი** (11, ისრაელი) — მიქაელა კრაიჩეკი (ჰოლანდია) 7:5 7:6; **ტატიანა გოლოვინი** (12, საფრანგეთი) — იულია ვაკულენკო (უკრაინა) 6:2 6:1; **კატარინა სრებოტნიკი** (14, სლოვენია) — კატერინა ბონდარენკო (უკრაინა) 5:7 6:2 6:2; **ძი იანი** (ჩინეთი) — სევერინ ბრემონდი (საფრანგეთი) 6:4 6:0; **შუაი პენგი** (ჩინეთი) — კაროლინ ვოზნიაკი (დანია) 6:0 6:7 6:2; **ტატიანა გარბინი** (იტალია) — ლაურა გრენვილი (აშშ) 6:2 6:0; **ფლავია პენეტა** (იტალია) — ოლგა პუტჩკოვა (რუსეთი) 6:3 7:5; **ფრანჩესკა შიავონე** (იტალია) — ტამირა პაშეკი (ავსტრია) 6:2 2:6 6:3; **რობერტა ვინჩი** (იტალია) — ნურია ლაგოსტერა ვივესი (ესპანეთი) 6:0 6:0; **დომინიკა ციბულკოვა** (სლოვაკეთი) — ანჯელიკა ბახმანი (გერმანია) 6:2 6:4; **ლუსი შაფაროვა** (16, ჩეხეთი) — ვარვარა ლეპჩენკო (უზბეკეთი) 6:4 6:7 6:1

ქალთა „როჯერსის თასი“, როგორც სხვანაირად უწოდებენ კანადურ სუპერტურნირს, უხმაუროდ დაიწყო და პირველ დღეს კორტზე გასული ექვსი განთესილიდან ექვსივემ აჯობა მეტოქეს. ამ ექვსიდან სამმა — პატი შნიდერმა, შაჰარ პირმა და ტატიანა გოლოვინიმ ორ-ორი სეტი იკმარეს, ხოლო დინარა საფინას, კატარინა სრებოტნიკსა და ლუსი შაფაროვას გვარიანად გაუჭირდათ.

**კახა ლომაშვილი**


მანანა შაფაქიძე

# ლადო ჩიხლაძე მიუნხენის თავში

**ამ კვირაში** რამდენიმე ქართველი ჩოგბურთელი თამაშობს ITF-ის ეგიდით მიმდინარე ტურნირებზე. მათგან ყველაზე დიდი საპრიზო ფონდის მქონე, პენზის 50-ათასიანი შეჯიბრია, სადაც ჩვენი სოფო შაფათავა კვალიფიკაციიდან ცდილობს ძირითად ბადეში მოხვედრას.

დანარჩენები გერმანიაში არიან. ბილეფილდის თიხნარზე ქალთა 10-ათასიანი ტურნირი ტარდება და მანანა შაფაქიძე პირველ წრეში 23 წლის გერმანელს ჯულია ბაბილონს შეხვდება, ვინც ამჯერად რეიტინგში მოხსენიებული არ არის, მაგრამ ორი წლის წინ 357-ე პოზიციაზე იმყოფებოდა.

გერმანიაშივე, ოღონდაც ბავარიის მთავარქალაქ მიუნხენში კაცთა ტურნირიც ტარდება და იქ, ამ ცოტა ხნის წინ ზედიზედ ორი თბილისური ტურნირის მომგები ლადო ჩიხლაძე პირველ ნომრად არის განთესილი. პირველ წრეში ლადო კორტის მასპინძელს, 22 წლისა და კლასიფიკაციაში 1175-ე ადგილზე მყოფ ალექსანდერ ბაჯინს შეხვდება და თუ მას გაივლის, მერე ან ხორვატ კრისტიან მესაროშს დაუპირისპირდება, ან კიდევ ერთ გერმანელ მარკ ზიბერს.

პირველ ნომრად იყო განთესილი, ოღონდაც კვალიფიკანტთა შორის მეორე ჩვენებური ნოდარ ითონიშვილი. სამწუხაროდ, ითონიშვილმა ვერ ივარგა და ძირითად ბადეში ჩიხლაძეს ვერ შეუამხანაგდა — საკვალიფიკაციო ტურნირის მეორე წრეში ჩვენებურს 6:2 6:4 მოუგო გერმანელმა პატრიკ კნობლოხმა.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# ნამიბია აფრიკიდან იმუქრება


ქიის ლენსინხი

**მაშინ,** როდესაც საქართველოს ნაკრები უკვე ათი დღეა, საფრანგეთში მსოფლიოს თასისწინა შეკრებაზეა, ჩვენების მთავარი მეტოქე ნამიბია მეზობელ სამხრეთ აფრიკაშია და იქ იკაჟებს კუნთებს. მეტიც, დიდმა სარაგბო მეზობლებმა დიდი პატივი დასდეს უმცროს ბიძაშვილებს და ამ უქმეებზე ტესტ-მატჩზეც შეუთანხმდნენ. რაც მთავარია, „ქურციკების" მწვრთნელმა ჯერ ვაიტმა საქვეყნოდ განაცხადა, ნამიბიას აქეთურ-იქითურს კი არა, საბრძოლო რაზმს დავუპირისპირებო.

ცხადია, ამით ძალიან გაიხარეს ნამიბიელებმა, რომლებმაც საქართველოსთან ერთი თვის წინ რუმინეთში გამართულ „მსოფლიოს ერთა თასზე" წააგეს, მაგრამ იმუქრებიან, საფრანგეთში ათჯერ უკეთესი გუნდი გვეყოლებაო. „ჩვენ ნამდვილ ძალას მსოფლიოს თასზე ნახავთ. გუნდი დღითიდღე უმატებს. სამხრეთაფრიკელებს კი დიდი მადლობა, რომ ფასდაუდებელ დახმარებას გვიწევენ" — განაცხადა ნამიბიელთა გოლიათმა კაპიტანმა ქიის ლენსინხმა. სხვათა შორის, ლენსინხი სამი წლის წინ პრეტორიის „ბლუ ბულზს" ახლდა თბილისურ ტურნეზე.

ნამიბიელთა ამბავი ჯერჯერობით აქ დავასრულოთ და სამხრეთაფრიკელებზეც ვთქვათ. „ქურციკების" მწვრთნელ ჯეკ ვაიტის თქმით, საშაბათო რაზმი ყველაზე ახლოს არის იმ შემადგენლობასთან, მსოფლისოს თასზე საბრძოლო მატჩის განაცხადში რომ მოხვდება. ერთი სიტყვით, ვაიტი საფრანგეთში სწორედ ამ 22 მორაგბეს დაეყრდნობა, ოღონდ ერთის გამონაკლისით. შაბათს ნამიბიასთან რვა ნომრად ითამაშებს ჟაკ კრონხე, ვინც საერთოდ არ არის სამსოფლიოსთასო განაცხადში, მაგრამ რადგან პიერ სპიისი, დენი როსოუ და ბობ სკინსტადი ტრავმირებულები არიან, დროებით მოუწევს მათი შეცვლა.

ერთიც, მსოფლიოს თასის შემდეგ „ქურციკთა" გამოცდილი მორაგბეები პერსი მონტგომერი და ოზ დუ რანდტი სანაკრებო კარიერას ასრულებენ და ეს მათი ბოლო სანაკრებო მატჩი იქნება საკუთარი ქომაგის თვალწინ.

15 აგვისტო. ნიულანდსი

**სამხრეთ აფრიკა — ნამიბია**

სამხრეთ აფრიკა: მონტგომერი, ვილემსე, ფური, დე ვილერი, პიტერსენი; ჯეიმსი, დუ პრეეცი; კრონხე, ი. სმიტი, ბურხერი, მეტფილდი, ბ. ბოთა, ფან დერ ლინდე, ჯ. სმიტი, დუ რანდტი

*სათადარიგოები:* გ. ბოთა, ბჯ. ბოთა, ფან დერ ბერხი, მიულერი, იანუარი, პინარი, ნდუნხანე

ნამიბია: ბოკი, ლანგენხოვენი, ვეიე ბოტსი, ფან ცული, აფრიკა, ვესელსი, ტონდერი, გურხერი, პლესისი, ნიუვენიუსი, ისტერჰუიზი, კაზომბიაზე, ვისერი, ჰორნი, ლენსინხი

*სათადარიგოები:* მეიერი, ტოიტი, რედელინჰუისი, ლინველტი, ჟანტიისი, ხრობლერი, ლოსპერი

# გზა დაგვილოცნია


დენის ჰაკი

**ირლანდიის** ნაკრების უგამოცდილესმა მელელოვემ დენის ჰიკიმ საგანგებოდ მოწყობილ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ წლევანდელი მსოფლიოს თასის შემდეგ სანაკრებო კარიერას დაასრულებს. „ბევრი ვიფიქრე და გადავწყვიტე, რომ ნაკრებთან გამოსამშვიდობებლად ყველაზე შესაფერისი დრო სწორედ მსოფლიოს თასის შემდეგ იქნება. უკვე ათი წელია, რაც ნაკრებში ვარ. ამ ხნის განმავლობაში ბევრი იმედგაცრუებაც მქონდა და ბევრი სასიამაყო მომენტიც. ახლა უკვე დროა, წავიდე და კარიერა მშვიდად, საკლუბო დონეზე დავასრულო" — თქვა ჰიკიმ.

31 წლის დენის ჰიკის სანაკრებო დებიუტი 1997 წელს უელსთან მატჩში შედგა და მან პირველივე თამაშში ლელო გაიტანა. იქიდან მოყოლებული, ირლანდიელთა გარემარბმა 58 სანაკრებო კაპი მოიხვეჭა და 29 ლელოც მოინადირა.

„ჩვენ ისლა დაგვრჩენია, დენის გამოცდილებით ერთხელაც ვისარგებლოთ, მსოფლიოს თასის შემდეგ კი გზა დავულოცოთ" — ეს უკვე ირლანდიის ნაკრების მწვრთნელის ედი ოსალივანის სიტყვებია. პრესკონფერენციაზე საინტერესო ერთიც იყო — ოსალივანმა ირლანდიის სამსოფლიოსთასო 30-კაცა შემადგენლობა გამოაცხადა.

**ირლანდია მსოფლიოს თასზე**

მორკინალები: საიმონ ბესტი, ჯოშ ჰეიესი, მარკუს ჰორანი, ბრაიან იანგი, რორი ბესტი, ჯერი ფლანერი, ფრენკი შიანი, მალკოლმ ოკელი, დონჩა ოკალაჰანი, პოლ ოკონელი, ალან ქუინლანი, ნილ ბესტი, საიმონ ისტერბი, დენის ლამი, დევიდ ვოლესი, სტივენ ფერისი

უკანა ხაზი: ისააკ ბოსი, ეოინ რედანი, პიტერ სტრინგერი, რონან ოგარა, პედი ვოლესი, გორდონ დარსი, გევინ დაფი, ბრაიან ოდრისკოლი, გირვან დემფსი, დენის ჰიკი, ჯორდან მერფი, ენდრიუ ტრიმბლი, შეინ ჰორგანი, ბრაიან კარნი


ლოურენს დალალიო

# ძველმანების აუქციონი ბებერი ინგლისი რკინის კაცით

**გასულ უქმეებზე** შინაურ კედლებში, რაგბის მექად წოდებულ „თვიქნემზე" საფრანგეთთან დამარცხებული ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა ბრაიან ეშტონმა სამსოფლიოსთასო 30-კაცა რაზმი დაასახელა. „საბოლოო შემადგენლობის შერჩევა იმაზე რთული გამოდგა, ვიდრე წარმოვიდგენდი. მერწმუნეთ, მე და ჩემმა კონსულტანტებმა ტვინი ვიჭყლიტეთ და სანამ ბოლო ვადა არ ამოიწურა, განაცხადის შევსებას არ ვჩქარობდით" — განაცხადა ეშტონმა.

ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში ვერ მოხვდა წინა მსოფლიოს თასზე ნარაგბევი შუამარბი მაიკ ტინდალი, რომელმაც ტრავმის შემდეგ რეაბილიტაცია ვერ მოასწრო, აგრეთვე მორკინალი სტივ ტომპსონი, ვისაც გაზაფხულზე კისრის მალა დაუზიანდა და ახლა მარჩიელობენ, დაინვალიდდება თუ არა.

ინგლისელთა წლევანდელ შემადგენლობაში თორმეტი მორაგბეა, რომლებსაც წინა მსოფლიოს თასზეც უთამაშით და საინტერესოა, რომ ამათ შორის მხოლოდ ორია 30 წელზე ნაკლები ასაკის — 28 წლის ჯონი უილკინსონი და 29 წლის ლუის მუდი. მთიანად 30-კაციანი შემადგენლობის საშუალო ასაკი კი 32 წელია.

ეს ამბავი ძალიან არ მოეწონა ინგლისელთა კერპ ვილ ქარლინგს, რომელმაც ეშტონი ნაკრებში თავქარიანი მორკინალის, 35 წლის ლოურენს დალალიოს დაბრუნებისთვისაც გააკრიტიკა: „ეშტონი არ ენდობა ახალგაზრდებს. თუმც ახალგაზრდა აქ უფრო პირობითი მცნებაა. 25-27 წლის გამოცდილ მორაგბეებს ახალგაზრდას ვერ უწოდებ. ეშტონმა პენსიონერების კრებული შეკრა, დალალიო კი, საერთოდ რატომ მიჰყავს, ალბათ, თვითონაც არ იცის. ნაკრების შემადგენლობას რომ უყურებ, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ძველმანების აუქციონი იყოს."

60 წლის ეშტონს კი სულაც არ აღელვებს ქარლინგის კომენტარი. „ვარდების" მწვრთნელმა ყოფილ კაპიტანს ეს პასუხი გასცა: „ქარლინგს პატივს ვცემ, როგორც წარსულის დიდ მორაგბეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მან ახლა ჩემზე მეტი იცის. დალალიო კი რკინის კაცია და მისი გამოცდილება ნახევარ გუნდად ღირს."

**ბაჩო სვანიძე**

**ინგლისი მსოფლიოს თასზე**

მორკინალები: ჯორჯ შუტერი, ლი მირსი, მარკ რეგანი, პერი ფრეშუოტერი, ენდრიუ შერიდანი, მეტ სტივენსი, ფილ ვიკერი, სტივ ბორსვიკი, მარტინ ქორი, ბენ კეი, საიმონ შოუ, ლოურენს დალალიო, ნიკ ისტერი, ტომ რიისი, ლუის მუდი, ჯო უორსლი

უკანა ხაზი: მარკ კუეტო, ჯოშ ლუსი, ჯეისონ რობინსონი, პოლ საკი, დან ჰიტკინსი, ჯეიმი ნუნი, მეტიუ ტაიტი, ოლი ბარკლი, მაიკ ქეთი, ენდი ფარელი, ჯონი უილკინსონი, ენდი გომარსალი, შონ პერი, პიტერ რიჩარდსი

# ამერიკა სპრინტით ითვლის

**გუშინ კიდევ რამდენიმე ქვეყნის ფედერაციამ გამოამზეურა ოსაკას მსოფლიოს ჩემპიონატზე წამსვლელთა სია, მათ შორის ამერიკამაც, რომელიც, როგორც ყველა ჩემპიონატზე და ოლიმპიადაზე, ახლაც მთავარი ფავორიტი იქნება მედლების დაფაზე პირველობისთვის.**



ჯერემი უორინერი

## აშშ

ზეამბიციურმა ამერკელებმა დაახლოებით 140 მძლეოსანს მოუყარეს თავი და ამხელა არმიით აპირებენ ოსაკაზე იერიშის მიტანას. ძნელი სათქმელია, იაპონიაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საერთოდ ჩასულა თუ არა ასეთი მძლავრი რაზმი, ჰა-ჰა ტოკიოს 1964 წლის ოლიმპიადის დროს. თავისთავად ამერიკელები ყველა სახეობაში ვერ ჩაითვლებიან ფავორიტებად, მით უმეტეს, გრძელ დისტანციებზე სირბილში ვერ აჯობებენ აღმოსავლეთ აფრიკელებს, მაგრამ ეჭვიც კი არავის ეპარება, რომ ისინი მედლების მოზრდილ ულუფას დაითრევენ და ბევრ პატარას დატოვებენ მშიერს.

ამერიკა განსაკუთრებით ძლიერია, როგორც კაცთა, ასევე ქალთა სპრინტერულ სახეობებში. მათ თვითონ ერთმანეთში ექნებათ უდიდესი კონკურენცია, თუნდაც კაცთა 200 მეტრზე ან ქალთა 400 მეტრზე. ამ უკანასკნელ დისციპლინაში ყველაფერი გარკვეული იქნებოდა, სანია რიჩარდსს ამერიკის ჩემპიონატზე რომ არ ჩაეფლავებინა სირბილი და სამეულში მაინც მოხვედრილიყო მისთვის კარიერის იმ ყველაზე შავ დღეს. ახლა, რიჩარდსს მისთვის არცთუ კომფორტულ 200 მეტრზე მოუწევს სირბილი და აქ ოქროს კი არა, მედლის გარანტიაც კი არ აქვს, უმისოდ კი 400 მეტრზე ამერიკელებიც და ამ დისტანციის სხვა გამორჩეული მორბენლები ერთმანეთს უდაძაბულეს ბრძოლას გაუმართავენ.

ამერიკელებს ჩავარდნა ექნებათ სტაიერულ დისტანციებზე. აქ მხოლოდ ბერნარდ ლაგატის იმედი თუ ექნებათ, რომელიც 5 კილომეტრზე მედლის კანდიდატად ითვლება. ლაგატი გამოვა 1500-მეტრიან, საშუალო დისტანციაზეც, თუმცა აქ ის ამერიკელთა შორისაც კი ვერ არის გაუსაჩივრებელი ლიდერი. იანკებს აქ ჰყავთ ალან ვები, რომელიც წლეულს მართლაც გადასარევ ფორმაშია და ეცდება, ბრინჯაო მაინც ააცინცლოს ამ სახეობის აფრიკელ ასებს.

კაცთა სპრინტში იანკების სიამაყეა ტაისონ გაი, რომელიც 200 მეტრზე ყველა დროის მეორე შედეგს ფლობს ლეგენდარული მაიკლ ჯონსონის შემდეგ და ოსაკაშიც მხოლოდ მოგებით დაკმაყოფილდება. მას აგრეთვე სურს 100 მეტრის მოგებაც, ოღონდ ეს დისტანცია, მოგეხსენებათ, იამაიკელი ასაფა პაუელისაა და გაი აქ თავს ხალვათათ ვერ იგრძნობს. 400 მეტრს ალბათ ულაპარაკოდ მოიგებს 2004 წლის ათენის ოლიმპიადისა და 2005 წლის ჰელსინკის მსოფლიოს ჩემპიონატის მომგები ჯერემი უორინერი. ისე კი, ამერიკელებს იმდენი ვარსკვლავი ჰყავთ, რომ მათი მხოლოდ ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანდა. მხოლოდ ალვნიშნოთ, რომ ამერიკელებს ოსაკაში ეყოლებათ 14 ოლიმპიური და 22 მსოფლიო მედალოსანი.

## სამხრეთ აფრიკა

ვისით შეუძლია სამხრეთ აფრიკას ტრაბახი? ცისარტყელოვან ქვეყანას თითქოს არ ჰყავს მოკაშკაშე ვარსკვლავები, მაგრამ ყველა ტურნირზე ახერხებს თავისი წილი რამდენიმე მედლის მოგებას. „ქურციკთა" 28-კაციან გუნდში ვხედავთ 400 მეტრ წინაღობებით სირბილში აფრიკის ჩემპიონ ლუის ფან ცულს, 800 მეტრზე ოლიმპიურ მედალოსან მბულაენა მულაუძის და რამდენიმე კარგ სპრინტერს. სამხრეთ აფრიკა უბრუნდება ერთ-ერთი ყველაზე ვნებიანი სახეობის სტარტს — 4X100 მეტრზე კაცთა ესტაფეტას, რომელიც 2001 წლის ედმონტონის მსოფლიოს ჩემპიონატზე ამერიკელების დისკვალიფიკაციის შემდეგ მოიგო, მაგრამ 2003 წლის პარიზის და 2005 წლის ჰელსინკის ჩემპიონატებზე აღარ გამოსულა. ახლა აფრიკელებს მოკლე ესტაფეტაში მედალი უნდათ, მიუხედავად იმისა, რომ აქ უდიდესი კონკურენციაა — აშშ, იამაიკა, ნიგერია, ბრაზილია, ბრიტანეთი, საფრანგეთი — ყველას უნდა მედალი.

## ბელარუსი

სამხრეთაფრიკელთა დარად, ზუსტად 28 მძლეოსანს მოუყარეს თავი ბელარუსებმაც, ოღონდ ჩვენი ყოფილი მოძმე რესპუბლიკის ჯომარდი შვილები უფრო სასროლ სახეობებში უმიზნებენ თავიანთ წილ ორ-სამ მედალს. ბელარუსებს ორი მძლავრი უროს მტყორცნელი კაცი და ორიც ბირთვის მკვრელი ქალი მოეძევებათ. მეუროვე ივან ტიხონი მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი გახლავთ და მას კონკურენციას გაუწევს ვადიმ დევიატოვსკი, ვინც სეზონის საუკეთესო შედეგს ჰყრობს. ქალთა ბირთვის კვრას რაც შეეხება, აქ კარგი გაგებით ბოგინობენ ჰელსინკის ჩემპიონი და სეზონის ლიდერი ნადია ოსტაპჩეკი და სიდნეისა და ედმონტონის ჩემპიონი, ცოტა მობერებული იანინა პროვალინსკაია-კოვალჩუკი. 20 კილომეტრზე სპრინტულ სიარულში სეზონის ლიდერი რიტა ტუროვაც ფორმაშია. ბელარუსებმა იქნებ მედალს გამოჰკრან ხელი ქალთა 4X400 მეტრ ესტაფეტაზეც. მოკლედ, რუსებისა არ იყოს, ბელარუსებიც ქალთა მხრებით ზიდავენ მედლის სიმძიმეებს.

## ბელგია

შედარებით მოკრძალებული, 18-კაციანი გუნდი შეკრიბეს ბენილუქსელებმა, თუმც მათაც მოეძევებათ სამედლეედ კისერმოღერებული ორიოდ გოგონა. 100 და 200 მეტრზე ევროპის ჩემპიონი კიმ გევაერტი ალბათ შეძლებს ამ სახეობებში ფინალში გასვლას და იქ დახვედრილ ამერიკელ-კარიბელებთან ბრძოლას. სიმაღლეზე მხტომელმა ტია ელებომ წლეულს ევროპის ჭერქვეშა ჩემპიონატი 2,05-სანტიმეტრიანი ნახტომით მოიგო, თუმც მერე ტრავმამ ფორმიდან ამოაგდო და შესაძლოა, ვეღარ შეძლოს ხორვატ ბლანკა ვლასიჩთან ოქროსთვის ბრძოლა.

**კოტე ყორშია**





დამიანო კუნეგო

# სამნი ვერ მოიშორეს

**„ჯირო დიტალიას"** 2004 წლის ჩემპიონის, იტალიელი დამიანო კუნეგოს გამარჯვებით დასრულდა რიგით მეათე „გერმანიის ტურის" მე-4 ეტაპი, რომელიც ზინგენსა და ზონტჰოფენს შორის 184 კილომეტრზე იყო გაჭიმული.

კუნეგო, ვინც იტალიური „ლამპრეს" მრბოლი გახლავთ, თავის თანამემამულესთან, გერმანული „გეროლშტაინერის" წევრ დევიდე რებელინისა და ესპანური „კაისე დეპარნის" დავიდ ლოპეს გარსიასთან ერთად მცირედით მოწყდა ძირითად ჯგუფს, მაგრამ ეს მცირედიც საკმარისი აღმოჩნდა. სამეულმა მდევრები ახლოს არ გაიკარა და ეტაპის გამარჯვებულის ვინაობა ერთმანეთში გაარკვია. უფრო მარდი კუნეგო აღმოჩნდა. რებელინი მეორე იყო, გარსია — მესამე, ხოლო დანარჩენები ამ სამეულს ხუთი წამით ჩამორჩნენ.

საერთო ჩათვლაში წინ კვლავაც რბოლის მასპინძელი, დანიური CSC-ის წევრი იენს ფოიგტია, ვინც ოდენ ერთ წამს უგებს თავის დანიელ თანაგუნდელ სორენსენს, შემდეგ კი უკვე დასაშლელად გამზადებულ-განწირული „დისქავერის" ამერიკელები მოდიან — ჯორჯ ჰინკეიპი, ლევი ლეიფჰეიმერი და ტეო დანიელსონი ლიდერთან 27-27 წამს აგებენ.



რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№ 1 საავტომობილო ზეთი

# ინგლისში იციან

## ლუის ჰემილტონი ჩემპიონია

**პირველ** ნოემბერს, ფორმულა 1-ის მორიგი ჩემპიონატის დასრულებიდან 11 დღის შემდეგ, ინგლისური საგამომცემლო სახლი „ჯონ ბლეიკ პაბლიშინგი" ლუის ჰემილტონის ილუსტრირებულ ბიოგრაფიას გამოუშვებს. ინტერნეტ-მაღაზია „ამაზონის" ბრიტანული ფილიალი უკვე იღებს წინასწარ შეკვეთებს წიგნზე, რომელიც 20 დოლარი ეღირება და „მსოფლიოს მეფე" ერქმევა.




საინტერესო ანონსიც უკვე შედგენილია: „ესაა ბიოგრაფია ახალგაზრდის, რომელმაც შეძლო დაემტკიცებინა, რომ ოცნებები სრულდება. ლუისს ფორმულა 1-ში დებიუტი 22 წლისას ჰქონდა და „მაკლარენის" ძლევამოსილ ბოსის რონ დენისის ახირებულობის მიუხედავად, ავტოსპორტის სამყარო შეცვალა — ოქტომბერში, იაპონიის გრან პრიზე მან მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, შემდეგ კი BBC-ის ვერსიით წლის საუკეთესო სპორტსმენის ნომინაციაზე წარადგინეს. მოვლენათა ამგვარ განვითარებას არავინ ელოდა. ჰემილტონს ბრძოლა მოუხდა არა მხოლოდ საკუთარ ნერვებთან, არამედ სხვაგვარად მოაზროვნე თანაგუნდელ მეტოქესთანაც — ფერნანდო ალონსოსთან ფარული დაპირისპირება მთელი სეზონი გრძელდებოდა, მაგრამ ლუისმა ყველაფერი დაძლია და თავისი ოცნების განხორციელება შეძლო."

ნაადრევი და თამამი წინასიტყვაობაა, თუმც რეალობიდან არც ისე დაშორებული. რაღა დარჩა, დაველოდოთ იაპონურ რბოლას.

შეგახსენებთ, რომ სეზონის ფინიშამდე ექვსი ეტაპით ადრე ჰემილტონი თანამაკლარენელ ალონსოს შვიდი ქულით უსწრებს.

ლუისი ახლა საფრანგეთშია, სენ ტროპეში, სადაც თავის ახალ მეგობარ გოგონასთან ერთად ატარებს შვებულებას.

# უმუხთლა

ჰონგ კონგში ცხენოსანთა შორის ოლიმპიური ლიცენზიები თამაშდება. ცხენებმა, რა თქმა უნდა, არ იციან, რომ სასწორზე ოლიმპიური საგზურია და ამიტომაც ამერიკელ მხედარს, ლეინ აშკერს უმუხთლა.



AFP ჰონგ კონგიდან

# ჩირაღდანი

ასეთი იქნება პეკინის ოლიმპიადის ჩირალდანი. ის „ლენოვო გრუპმა" მოამზადა და ამ ჯგუფის ვიცე-პრეზიდენტი იაო იანგიია ამაყი ჩანს. ჩირალდანი ტრადიციისამებრ ქალაქიდან ქალაქში იმოგზაურებს და ზუსტად დათქმულ საათს შევა პეკინში.



AFP პეკინიდან

# ქვიშა პეკინში



AFP პეკინიდან

პეკინში ქვიშის ფრენბურთის შესარჩევი ტურნირი მიმდინარეობს. წინა საოლიმპიადო შესარჩევი თამაშები ჩინეთში სწორედ ამით იწყება. წლის მანძილზე კი პეკინი 42 ოლიმპიურ ტესტ-ტურნირს უმასპინძლებს.



AFP

# ბუდჰიას ტანჯვა

ეს პატარა ბიჭი მსოფლიოში ცნობილი 5 წლის ინდოელი მარათონელი ბუდჰია სინგჰია. ამას წინათ მისი მწვრთნელი ბირანჩი დააპატიმრებიათ, რახან ვუნდერკინდს უთქვამს, მცემს და მტანჯავსო.



AFP

# სადაკაროდ

მზადება დაკარის რალისთვის საგანგებოდ მოწყობილ ქვიშის მთებში მიმდინარეობს, როტერდამის ახლოს. ჰოლანდიელი მრბოლები ჰერმან ფაანჰორსტი და ბობ ტენ ჰარკელი „რეისსალონშიც" ჩაებმებიან, რომელიც დაკარის საკვალიფიკაციო ეტაპია.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ეკა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფარაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხურიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge